



სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა  
საერთაშორისო დაცვის შესახებ

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)  
დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი  
საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება  
ჟენევა

2008 წლის აპრილი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი წინამდებარე სახელმძღვანელოს საკუთარი მანდატის შესაბამისად აქვეყნებს, აღნიშნული მანდატი ასახულია 1950 წლის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის წესდებაში და ასევე 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 35-ე მუხლში და ამ კონვენციის 1967 წლის პროტოკოლის მე-2 მუხლში.

საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების და მათთან დაკავშირებული მასალების ანალიზის მეშვეობით კონკრეტულ სფეროში ინფორმაციის მიწოდების მიზნით აღნიშნული სახელმძღვანელო ცდილობს შესაბამისი კანონმდებლობის და სამართლებრივი სტანდარტების განმარტებას, რომლებიც კონკრეტულ თემატურ საკითხებს ეხება. წინამდებარე სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლებისთვის დაცვის გარანტიების მაქსიმალური უზრუნველყოფა ლტოლვილთა შესახებ არსებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მეშვეობით.

ეს სახელმძღვანელო საჯარო დოკუმენტია, რომელიც განკუთვნილია მთავრობებისთვის, განსაკუთრებით კი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიმღებთათვის, კანონმდებლებისთვის, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, იურისტებისთვის, თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებთათვის და სხვა გარე პარტნიორებისთვის, რომლებიც ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვაზე მუშაობენ. წინამდებარე სახელმძღვანელო, ასევე, გარკვეულ დახმარებას გაუწევს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს (UNHCR) მის მიერ ამ სფეროში ლტოლვილთა დაცვის მიზნით განხორციელებული ჩარევების დროს. UNHCR-ი მოუწოდებს სახელმწიფოებს ამ სახელმძღვანელოში მოყვანილი პრინციპები და სტანდარტები მათ შიდა კანონმდებლობებში ასახონ.

წინამდებარე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი კითხვა უნდა გაეგზავნოს საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილების დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორს, UNHCR, [ჟენევა](mailto:info@unhcr.org).

**სარჩევი**

I. წინასიტორია და კონტექსტი.....5

II. ექსტრადიცია და არგამევეების პრინციპი.....7

ა. არგამევეების მასშტაბი და შინაარსი ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.....7

1. გამევეებისგან დაცვა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.....7

2. გამევეებისგან დაცვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.....12

3. ვალდებულებების იერარქია.....15

ბ. არგამევეების პრინციპის გამოყენება ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის საკითხის განხილვისას.....17

1. ლტოლვილები.....17

2. თავშესაფრის მაძიებლები.....20

გ. არგამევეებასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღსრულება ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის საკითხის განხილვისას.....22

1. არგამევეების დებულებები ექსტრადიციის კონტექსტში.....22

2. ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სხვა შესაბამისი დებულებები და პრინციპები და მათი ურთიერთქმედება არგამევეების პრინციპთან.....23

III. ექსტრადიციის პროცედურები და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა.....28

ა. საერთო მოსაზრებები.....28

ბ. ექსტრადიციის პროცედურები ლტოლვილების მიმართ .....30

1. გარანტიები არგამევეების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.....30

2. კონფიდენციალურობა.....34

გ. ექსტრადიციის პროცედურები თავშესაფრის მაძიებლების მიმართ.....35

1. ექსტრადიციის და თავშესაფრის მიღების პროცედურების განცალკევება .....36

2. თავშესაფრის თხოვნაზე მიმღები ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღება.....37

3. ექსტრადიციის და თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილებების იერარქია.....37

4. კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის პროცესში.....39

დ. UNHCR-ის როლი ექსტრადიციის დროს.....39

IV. ლტოლვილების დაცვასთან და ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.....40

ა. საერთო მოსაზრებები.....40

ბ. ლტოლვილის სტატუსის დადგენა, მაშინ როდესაც დღის წესრიგში კონკრეტული პირის ექსტრადიციის საკითხი დგას.....	41
1. არსებული მოთხოვნები.....	41
2. პროცედურული საკითხები.....	47
გ. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება და ჩამორთმევა.....	50
V. დასკვნა.....	52

## I. წინასტორია და კონტექსტი

1. ექსტრადიცია ფორმალური პროცესია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ერთი სახელმწიფოს მიერ („მიმღები ქვეყანა“) მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებისთვის („მთხოველი ქვეყანა“) გადაცემა სისხლის სამართლის საქმეზე დევნის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით. ექსტრადიცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოებს მძიმე დანაშაულების ჩამდენთა დასჯის საშუალებას აძლევს; ექსტრადიციის მეშვეობით ხდება დაუსჯელობასთან ბრძოლა და, მაგალითად, ისეთი დანაშაულების ჩამდენთა დასჯა, როგორებიცაა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა, რომლებიც თავის მხრივ, ხშირად დევნის ფორმას წარმოადგენენ და ადამიანთა იძულებით გადაადგილებას იწვევენ. გარდა ამისა, ექსტრადიცია სახელმწიფოების მიერ ტერორიზმთან და საერთაშორისო დანაშაულის სხვა ფორმებთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია.
2. ლტოლვილების საერთაშორისო დაცვა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულება ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები არ არის. 1951 წლის კონვენცია, რომელიც ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების სტატუსს ეხება („1951 წლის კონვენცია“) და მისი 1967 წლის პროტოკოლი არ წარმოადგენენ იმუნიტეტს ლტოლვილებისთვის ან თავშესაფრის მაძიებლებისთვის თუ ისინი გარკვეულ დანაშაულებს სჩადიან; გარდა ამისა, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი მთლიანად არ გამორიცხავს მათი ექსტრადიციის შესაძლებლობას.<sup>1</sup> თუმცა, როდესაც ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის საკითხი დგას, მათი სპეციალური დაცვის ასპექტები უნდა იქნას გათვალისწინებული.
3. ექსტრადიციის და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვის საკითხების ერთმანეთთან მიმართება ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის ჭრილში უნდა იქნას განხილული, რადგან სიტუაცია დროსთან ერთად იცვლება. ტრადიციულად, სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის საკითხები ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების და, ასევე, ეროვნული კანონმდებლობების საფუძველზე იმართებოდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ეს მომენტი ლტოლვილებთან დაკავშირებულ რეგიონულ ინსტრუმენტებშიც არის გათვალისწინებული. კონკრეტულად კი 1969 წლის აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენციაში „აფრიკაში ლტოლვილებთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების შესახებ“ („აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენცია“) (კონვენციის ხილვა შესაძლებელია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b36018>) და 1984 წლის კარტახენას დეკლარაციაში ლტოლვილთა შესახებ (რომლის ხილვა შესაძლებელია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b36ec>), ისევე როგორც 1950 წლის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წესდებაში (რომელიც გაეროს 1950 წლის 14 დეკემბრის გენერალური ასამბლეის 428-ე რეზოლუციის V თავის ნაწილია და რომლის ხილვაც შესაძლებელია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b3628>).

<sup>2</sup> ექსტრადირების მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარყოფის სამართლებრივი კრიტერიუმები კონკრეტულ სახელმწიფოებს შორის არსებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საექსტრადიციო ხელშეკრულებების საფუძველზე განისაზღვრება; გარდა ამისა, ამ საკითხების გადაწყვეტა მიმღები

ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა როგორც წესების კრებული, რომელიც მეტ წილად ასახავს სახელმწიფოებს შორის კონსენსუსს, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, რადგან გაჩნდა დანაშაულის ახალი ტიპები, მათ შორის, ბოლო ათწლეულებში, საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხე გაიზარდა. თუმცა საერთაშორისო სამართალში 1945 წლის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა ასევე დიდი ზეგავლენა იქონია ექსტრადიციის სამართლებრივ მხარეებზე.

4. ადამიანის უფლებების რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, ანტიტერორისტული კონვენციები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულს ეხება, მოიცავენ დებულებებს, რომლებიც გარკვეულ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ექსტრადირების ვალდებულებას გულისხმობენ. ამგვარი ინსტრუმენტები ჩვეულებრივ მოითხოვენ შემდეგს: სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ კონკრეტული ქმედება მათი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში დანაშაულად ითვლება და ამ შემთხვევაში ამგვარი ქმედებები კონკრეტულ სახელმწიფოებს შორის ექსტრადირების შესახებ ხელშეკრულების არ არსებობის შემთხვევაშიც კი ექსტრადირების საფუძველი უნდა გახდეს.<sup>3</sup> თუმცა არგამევეების ვალდებულება, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან მომდინარეობს, გარკვეულ შემთხვევაში, კრძალავს ექსტრადიციას. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში, ექსტრადიცია ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კონკრეტული დებულებებითაც იზღუდება.
5. ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში მოცემული პრინციპები და დებულებები დაცვის გარკვეულ სამართლებრივ გარანტიებს აძლევს ასეთ პირებს. მაგალითად, ამგვარ პირებს შეუძლიათ „განსაკუთრებულობის პრინციპით“, მთხოვნელი ქვეყნიდან მესამე

---

ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვითაც ხდება. ჩვეულებრივ, ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებები და ეროვნული კანონმდებლობის დებულებები განსაზღვრავენ იმ დანაშაულების ნუსხას, რომელთა ჩადენის შემთხვევაში ექსტრადიციის მოთხოვნა შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული („ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაული“); ასევე ეს შეთანხმებები და დებულებები განსაზღვრავენ ექსტრადიციის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მიზეზებს („უარის თქმის მიზეზები“), თანამდევ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და/ან მთხოვნელი ქვეყნის მიერ წარსადგენ მტკიცებულებებს. ექსტრადიციის შესახებ თხოვნის პროცედურები ჩვეულებრივ, მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის უფრო დეტალური გაცნობის მიზნით შეგიძლიათ იხილოთ ს. კაპფერერის „კავშირი ექსტრადიციასა და თავშესაფარს შორის“ (შემდგომში ეს ნაშრომი მოხსენიებული იქნება როგორც „ექსტრადიცია და თავშესაფარი“), UNHCR-ის სამართლებრივი და დაცვის პოლიტიკის კვლევა, PPLA/2003/05, 2003 წლის ნოემბერი, ამ ნაშრომის ხილვა შესაძლებელია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3fe846da4>.

<sup>3</sup> ბევრ შემთხვევაში ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ექსტრადირების ან სამართლებრივი დევნის ვალდებულებას (“aut dedere aut iudicare”). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობით არ არსებობს ექსტრადირების არანაირი ვალდებულება. მეტი დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“ (მე-2 შენიშვნა, 21-32 პარაგრაფები).

სახელმწიფოში რე-ექსტრადიციაზე დაწესებული შეზღუდვებით, საგამომიებო მოქმედების ან სასჯელის მოხდის შემდეგ მიმღებ ქვეყანაში დაბრუნების პირობით ექსტრადირებით, პოლიტიკური მოტივით დევნის შემთხვევაში ექსტრადიციის დაუშვებლობის პრინციპით ან ექსტრადიციაზე უარის თქმის სხვა ტრადიციული მიზეზებით ისარგებლონ; განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებს ეხება როდესაც აღნიშნულ პირებს მომთხოვნ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა ემუქრებათ ან მათ მიმართ სამართლიანობის პრინციპებია დარღვეული. ეგრეთწოდებული „დისკრიმინაციის შესახებ დებულებები“, რომელთა მიხედვით ექსტრადიციაზე შეიძლება ან უნდა მოხდეს უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ექსტრადიცია მოთხოვნილია პოლიტიკური მოტივებით ან სადამსჯელო ან დისკრიმინაციული განზრახვით, შედარებით ახალი ინსტრუმენტებია, რომლებიც ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში იქნა შეტანილი.<sup>4</sup> ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში შესული ეს გარანტიები გარკვეულწილად იმეორებს მიმღები ქვეყნის არგამეცხვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც ამ ქვეყანას ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აქვს აღებული.

6. წინამდებარე სახელმძღვანელო აღწერს UNHCR-ის როლს ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადირებისას არსებულ და პროცედურულ საკითხებთან მიმართებაში. ამ სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილი დეტალურად აღწერს მიმღები ქვეყნის არგამეცხვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, მაშინ, როდესაც საქმე ეხება ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციას. გარდა ამისა, მე-2 ნაწილში საუბარია ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის და არგამეცხვის პრინციპს შორის ურთიერთმიმართებაზე. სახელმძღვანელოს მე-3 ნაწილში ექსტრადიციის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხებია განხილული, მათ შორის ის გარანტიები, რომლებიც აუცილებელია ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდგომარეობის გასათვალისწინებლად და ექსტრადირებასა და თავშესაფრის მიცემის პროცედურებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფლად. სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილი იხილავს იმას, თუ როგორ შეიძლება ექსტრადირების მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვროს ამა თუ იმ პირის ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფის საკითხი; ამ ნაწილში ხაზგასმულია ის გარანტიები თავშესაფრის მიცემის პროცედურების ფარგლებში, რომლებიც ასევე რელევანტურია მაშინ, როდესაც თავშესაფრის მაძიებელზე ამავე დროს ექსტრადირების მოთხოვნა არსებობს. სახელმძღვანელოს მე-5 ნაწილი მოიცავს დასკვნით მოსაზრებებს ექსტრადიციის და თავშესაფრის მიცემის პროცესებს შორის ურთიერთქმედების შესახებ; ასევე ამ ნაწილში საუბარია სახელმწიფოების მიერ ექსტრადირების პროცედურების ჩატარებისას მათ მიერ საერთაშორისო კანონმდებლობით აღებული ვალდებულებების დაცვის აუცილებლობაზე.

<sup>4</sup> ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის ეს დებულებები და პრინციპები უფრო დეტალურად არის განხილული ქვემოთ, იხილეთ 38-45-ე პარაგრაფები.

## II. ექსტრადიციის და არგამევეების პრინციპი

7. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში განხილულია ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მიმღები ქვეყნის არგამევეების ვალდებულების მასშტაბი და შინაარსი, ისევე, როგორც მათი მოქმედება ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირების მოთხოვნასთან მიმართებაში. ამ თავში ასევე საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს გაძევებისგან დაცვა მაშინ, როდესაც მიმღებ ქვეყანას ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირებას სთხოვენ.

### ა. არგამევეების მასშტაბი და შინაარსი ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში

#### 1. გაძევებისგან დაცვა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

8. არგამევეების პრინციპი, რომელიც კრძალავს ლტოლვილების გაძევებას იმ ქვეყანაში სადაც ისინი დევნის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის რეჟიმის ქვაკუთხედი.<sup>5</sup> ეს ვალდებულება, რომელიც 1951 წლის კონვენციის<sup>6</sup> 33-ე მუხლშია აღბეჭდილი, ფუნდამენტური პრინციპია, რომლის დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.<sup>7</sup> 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში აღნიშნული არგამევეების პრინციპი ასევე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილია. აქედან გამომდინარე იგი ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა, მათ შორის იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებსაც ჯერ ხელი არ მოუწერიათ 1951 წლის კონვენციაზე და/ან მის 1967 წლის პროტოკოლზე<sup>8</sup>.

<sup>5</sup> დეტალური ანალიზის სანახავად იხილეთ ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის „არგამევეების პრინციპის მასშტაბი და შინაარსი: თვალსაზრისი“, რედაქტორების ე. ფელერის, ვ. ტურკის და ფ. ნიკოლსონის „ლტოლვილების დაცვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში: UNHCR-ის გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვის შესახებ“ კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი (2003 წელი), გვერდები 87-177. ასევე იხილეთ UNHCR-ის „მოსაზრება არგამევეების ვალდებულებების ექსტერიტორიალურ გამოყენებაზე 1951 წლის კონვენციის და მისი 1967 წლის პროტოკოლის ფარგლებში“, 2007 წლის 26 იანვარი, ამ ნაშრომის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=45f17a1a4>

<sup>6</sup> ლტოლვილებთან დაკავშირებული რეგიონალური სამართლებრივი ინსტრუმენტები ასევე მოიცავენ დებულებებს არგამევეების შესახებ, მაგალითად 1969 წლის აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენციის II(3) მუხლი და ლტოლვილების შესახებ 1984 წლის კარტახენას დეკლარაციის III(5) მუხლი. მართალია კარტახენას დეკლარაცია თავისთავად არ არის სამართლებრივად სავალდებულო, მაგრამ მისი დებულებები ლათინური ამერიკის მრავალი სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაში იქნა შეტანილი.

<sup>7</sup> 1951 წლის კონვენციის 42(1)-ე მუხლის და 1967 წლის პროტოკოლის VII(1) მუხლის მიხედვით 33-ე მუხლი 1951 წლის კონვენციის იმ დებულებების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებზეც არავითარი გამონაკლისი არ დაიშვება.

<sup>8</sup> იხილეთ UNHCR-ის „არგამევეების პრინციპი როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმა“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2 BvR 1938/93, 2 BvR 1953/93 და 2 BvR 1954/93 საქმეებზე UNHCR-ისთვის დასმულ კითხვებზე პასუხები (<http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=437b6db64>); UNHCR-ის „შენიშვნები არგამევეების პრინციპის შესახებ (ევროკავშირის სემინარი „ევროკავშირის 1995 წლის რეზოლუციაზე მინიმალური გარანტიების შესახებ თავშესაფრის მაძიებელთა პროცედურებთან მიმართებაში“), 1997



9. 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლის მიხედვით:

„არცერთი ხელშემკვერელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების და პოლიტიკური მრწამსის გამო.“

10. ეს დებულება სრულად მიესადაგება ექსტრადირების პროცესს. ეს ნათლად ჩანს 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლის სიტყვებში, რომლებიც ლტოლვილის „ნებისმიერი სახით“ გამეფებას ან დაბრუნებას ეხება. ლტოლვილების ექსტრადირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარების მიზნით სხვა ორგანიზაციებთან ერთად UNHCR-ის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტი:

„(ბ) ხაზს უსვამს არგამეფების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ფუნდამენტურ ხასიათს;

(გ) აღიარებს, რომ ლტოლვილები უნდა იქნან დაცულნი ისეთ ქვეყანაში ექსტრადირებისგან სადაც მათ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დევნის მსხვერპლად გახდომის საფუძვლიანი შიში აქვთ;

(დ) მოუწოდებს სახელმწიფოებს „უზრუნველყონ, რომ არგამეფების პრინციპი ეფექტურად იქნას გათვალისწინებული ხელშეკრულებებში და (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ეროვნულ კანონმდებლობებში, რომლებიც ექსტრადიციას ეხება“;

(ე) გამოხატავს იმედს, რომ არგამეფების პრინციპი შესაბამის დონეზე იქნება აღსრულებული ექსტრადიციათა დაკავშირებით არსებული ხელშეკრულებების განხორციელებისას“<sup>9</sup>.

11. 33(1)-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები ეხება ნებისმიერ პირს, რომელიც 1951 წლის კონვენციის განსაზღვრებით ლტოლვილის სტატუსის მქონეა, ანუ ნებისმიერ პირს, რომელიც 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემულ განსაზღვრებას აკმაყოფილებს („დადგენის

---

წლის 1 ნოემბერი, რომლის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=438c6d972>. ასევე იხილეთ სახელმწიფოების წარმომადგენლების დეკლარაცია 1951 წლის კონვენციასა და/ან მისი 1967 წლის პროტოკოლთან მიმართებით, რომელიც 2001 წლის 12-13 დეკემბრის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მინისტრიალზე იქნა მიღებული, HCR/MMSP/2001/09, ამ დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3d60f5557>; იხილეთ ასევე ახალი ზელანდიის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ზაოუი გენერალური პროკურორის წინააღმდეგ“ საქმეზე (No 2) [2005] 1 NZLR 690, 2004 წლის 30 სექტემბერი, 34-ე და 136-ე პარაგრაფები, რომლის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა მოცემული: <http://www.nzlii.org/cgi-bin/sinodisp/nz/cases/NZCA/2004/244.html>. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არგამეფების პრინციპის მასშტაბის და შინაარსის უფრო დეტალური ანალიზისთვის ასევე იხილეთ ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომი (193-219 პარაგრაფები).

<sup>9</sup> იხილეთ UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა №17 (XXXI) – 1980 ლტოლვილების ექსტრადირების პრობლემების შესახებ, (ბ)-(ე) პარაგრაფები, ამ დოკუმენტის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c4423>.

კრიტერიუმები“)<sup>10</sup> და არ ხვდება ამ სტატუსის გამომრიცხავ რომელიმე კატეგორიაში, რომელიც ასევე ამ მუხლშია მოცემული.<sup>11</sup> არგამევეების პრინციპი, რომელიც 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლშია მოცემული ასევე ეხება იმ პირებს, რომლებიც 1951 წლის კონვენციის 1 მუხლში მოცემულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ და რომელთა ლტოლვილის სტატუსი ოფიციალურად არ არის გაუქმებული.<sup>12</sup> ეს განსაკუთრებით თავშესაფრის მაძიებლებს ეხებათ, რადგანაც ისინი, ამავე დროს ლტოლვილებიც შეიძლება იყვნენ. თავშესაფრის მაძიებლები არ უნდა იქნან უკან დაბრუნებულნი ან გაძევებულნი მანამ, სანამ მათი სტატუსის საბოლოოდ განსაზღვრა არ მოხდება.<sup>13</sup>

12. არგამევეების პრინციპი არა მხოლოდ ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანას არამედ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს ეხება სადაც ამ პირს შეიძლება დაემუქროს საფრთხე 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში ჩამოთვლილი ერთი ან რამოდენიმე მიზეზის გამო; არგამევეების პრინციპი ასევე ეხება ისეთ ქვეყანასაც, საიდანაც პიროვნება შეიძლება გადაყვანილი იქნას იმ სახელმწიფოში, სადაც მას ზემოხსენებული საფრთხე ემუქრება.<sup>14</sup>

<sup>10</sup> ამ დებულების მიხედვით, რომელიც ასევე შესულია 1967 წლის პროტოკოლის 1 მუხლში, ტერმინი „ლტოლვილი“ განსაზღვრავს ნებისმიერ პირს, რომელიც „საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან რომელსაც არ გააჩნია მოქალაქეობა და იმყოფება რა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს დაბრუნდეს ამ ქვეყანაში“.

<sup>11</sup> 1951 წლის კონვენციაში შემდეგი კატეგორიის პირებია ჩამოთვლილი, რომლებიც ვერ ჩაითვლებიან ლტოლვილებად: 1დ მუხლის პირველი პარაგრაფი (ანუ ის პირები რომლებიც დაცვის გარანტიებს ან დახმარებას იღებენ UNHCR-ის გარდა გაეროს სხვა სააგენტოსგან); 1D მუხლი (ანუ ის პირები, რომლებმაც მიიღეს მათ მიერ საცხოვრებლად შერჩეული ქვეყნის მოქალაქეობა) და 1F მუხლი (ანუ ის პირები, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული ვარაუდები, რომ მათ მიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი). ამგვარი დებულებები ასევე შესულია აფრიკის ერთობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენციაში და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის 1950 წლის დებულებაში, რომელიც 1950 წლის 14 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 428 (V)-ე რეზოლუციის ნაწილი გახდა. ქვემოთ იხილეთ ასევე 78-ე პარაგრაფი.

<sup>12</sup> იხილეთ UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა №6 (XXVIII) – 1977 არგამევეების შესახებ, პარაგრაფი (გ), ამ დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c43ac>; დასკვნა №79 (XLVII) – 1996 საერთაშორისო დაცვაზე, პარაგრაფი (კ), რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c430>; და დასკვნა №80 (XLVIII) – 1997 საერთაშორისო დაცვის შესახებ, პარაგრაფი (ი), რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c690>.

<sup>13</sup> მაგალითად იხილეთ UNHCR-ის „გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვის შესახებ/მესამე ნაწილი: თავშესაფრის მიღების პროცესები (თავშესაფრის მიცემის სამართლიანი და ეფექტური პროცედურები) (შემდგომში ეს დოკუმენტი მოხსენიებული იქნება როგორც „თავშესაფრის პროცესები“), EC/GC/01/12, 2001 წლის 31 მაისი, პარაგრაფები: 4,8,13 და 50(გ), რომლის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3b36f2fca>. იხილეთ ასევე ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 87-99 პარაგრაფები.

<sup>14</sup> იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნა არგამევეების პრინციპის შესახებ“, EC/SCP/2, 1977 წელი, პარაგრაფი 4, რომლის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi->

13. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში არგამევეების პრინციპის მიმართ გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ 33(2)-ე მუხლში მოცემული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ამ საკითხზე აღნიშნულ მუხლში შემდეგი რამ არის ნათქვამი:

„ეს დებულება არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.“

14. ამ დებულების აღსრულებისას მიმღებმა ქვეყანამ ინდივიდუალურ დონეზე უნდა გადაწყვიტოს არის თუ არა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები ნამდვილად დაკმაყოფილებული იმისათვის, რომ მოხდეს არგამევეების პრინციპის მიმართ გამონაკლისის დაშვება:

- (i) რაც შეეხება „ქვეყნის უსაფრთხოებას“, უნდა დადგინდეს რომ ამჟამად ან მომავალში ლტოლვილი ნამდვილად წარმოადგენს საფრთხეს მიმღები ქვეყნისთვის. საფრთხე ძალიან სერიოზული უნდა იყოს (და არა ნაკლებად სერიოზული), ამავე დროს ეს საფრთხე მიმღები ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას უნდა ემუქრებოდეს.<sup>15</sup>
- (ii) რაც შეეხება „საზოგადოების საფრთხეს“, ამ შემთხვევაში კონკრეტული ლტოლვილი არა მხოლოდ გასამართლებული უნდა იყოს ძალიან მძიმე დანაშაულისთვის, არამედ ისიც უნდა იქნას დადგენილი, რომ აღნიშნული ნასამართლეობის და დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე აღნიშნული პიროვნება ამჟამად ან მომავალში მიმღები ქვეყნის საზოგადოებისთვის ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პიროვნება ძალიან მძიმე დანაშაულის გამო იქნა გასამართლებული თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი ამჟამად ან

---

[bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68ccd10](http://bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68ccd10). იხილეთ ასევე პოლ ვაისის „კონვენცია ლტოლვილების შესახებ, 1951 წელი: The Travaux Préparatoires დოქტორ პოლ ვაისის კომენტარებით“, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი (1995 წელი), პარაგრაფი 341.

<sup>15</sup> იხილეთ UNHCR-ის „სასამართლო განხილვაში თავისი ნებით ჩართული პირის ფაქტუმი, UNHCR, სურეში მოქალაქეობის და იმიგრაციის მინისტრის წინააღმდეგ; კანადის გენერალური პროკურორი, SCC No. 27790“, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3e71bbe24> (რომელიც ამიერიდან მოხსენიებული იქნება როგორც „UNHCR, სურეშის ფაქტუმი“), ეს ნაშრომი ასევე შესულია 14:1 ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალში (2002 წელი), პარაგრაფები 68-73. იხილეთ ასევე ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 164-166-ე პარაგრაფები; და ა. გრალ-მადსენის „კომენტარები ლტოლვილების შესახებ კონვენციის 2-11 და 13-37 მუხლებზე“ რომელიც UNHCR-ს მიერ 1997 წელს იქნა დაბეჭდილი, მისი ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=4785ee9d2>; „კომენტარი 33-ე მუხლზე“ მე-8 პარაგრაფი, სადაც 1951 წლის კონვენციის შემდგენლების განხილვა შემდეგი სიტყვებით არის შეჯამებული: „საერთოდ „ქვეყნის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული გამონაკლისის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, რომლის შედეგად პირდაპირ ან ირიბად საფრთხის ქვეშ ექცევა კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუცია, მთავრობა, ტერიტორიალური მთლიანობა, დამოუკიდებლობა ან მშვიდობა“.

მომავალში კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებისთვის სერიოზულ საფრთხედ ჩაითვალოს. ამის დადგენა მხოლოდ დამოკიდებული იქნება კონკრეტული დანაშაულის ბუნებაზე და გარემოებებზე და სხვა შესაბამის ფაქტორებზე (მაგალითად რეციდივის ალბათობა).<sup>16</sup>

15. 1951 წლის კონვენციაში მოცემული არგამეგების პრინციპის მიმართ გამონაკლისების დაშვებისას, იგივე კონვენციაში აღნიშნულია, რომ უნდა არსებობდეს რაციონალური კავშირი ლტოლვილის ექსტრადიციასა და მის კონკრეტულ ქვეყანაში ყოფნისგან გამოწვეული საფრთხის აღმოფხვრას შორის, ამ შემთხვევაში იგულისხმება საფრთხე ქვეყნის ან მისი საზოგადოების უსაფრთხოების მიმართ. აღნიშნული დებულება ასევე იმასაც გულისხმობს, რომ ლტოლვილის გამეგება უნდა იყოს ყველაზე ბოლო და უკიდურესი საშუალება მიმღები ქვეყნის ან მისი საზოგადოების მიმართ არსებული საფრთხის ნეიტრალიზაციისთვის.<sup>17</sup> ამასთან ერთად ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხე უფრო სერიოზული უნდა იყოს ვიდრე გამეგების შემთხვევაში ამ კონკრეტული პიროვნებისთვის ზიანის მიყენების რისკი.<sup>18</sup> ამის გარდა, 33(2)-ე მუხლში მოცემული რომელიმე გამონაკლისის გამოყენების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ პროცედურის ფარგლებში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი გარანტიები.<sup>19</sup> მაშინ, როდესაც 33(2)-ე მუხლის გამოყენების საკითხი ექსტრადიციის პროცესის ფარგლებში ხდება, მიმღები სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ, როგორც არსებული, ისე პროცედურული მოთხოვნები ბოლომდეა დაცული.<sup>20</sup>

16. თუმცა 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლის დებულებები არ ეხება მიმღები ქვეყნის ვალდებულებებს გამეგების შესახებ ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში, ამ ვალდებულებების მიმართ არავითარი გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, მიმღებ ქვეყანას არ აქვს უფლება მოახდინოს ლტოლვილის ექსტრადიცია თუ ამის შედეგად ამ პირს წამების სერიოზული საფრთხე დაემუქრება.<sup>21</sup> გამეგება ასევე დაუშვებელია თუ

<sup>16</sup> იხილეთ ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 190-192-ე პარაგრაფები.

<sup>17</sup> თუ ლტოლვილის მიერ ქვეყნის ან მისი საზოგადოებისთვის შექმნილი საფრთხის განეიტრალება მისი გამეგების გარეშეც შესაძლებელია, მაშინ, 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლის მიხედვით, ამ პირის გამეგება გამართლებული არ იქნება.

<sup>18</sup> იხილეთ UNHCR-ის „სურემის ფაქტუმი“, პარაგრაფი 74-84; ასევე იხილეთ ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 177-179-ე პარაგრაფები.

<sup>19</sup> UNHCR-ის თვალსაზრისით, ეს გარანტიები სულ მინიმუმ იმ პროცედურული გარანტიების ტოლფასი უნდა იყოს, რომლებიც 1951 წლის კონვენციის 32-ე მუხლის ფარგლებში პირის ქვეყნიდან გამეგების შემთხვევაში გამოიყენება. 32(1)-ე მუხლის მიხედვით ნებადართულია ლტოლვილის ისეთ ქვეყანაში გამეგება, სადაც მას არ ეშინია ეროვნული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოტივით დევნის ობიექტად გახდომის. 32-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებში მოცემული მინიმალური გარანტიები, მათ შორის აპელაციის უფლება, ასევე შესაბამისი დროის მიღების საშუალება, რომლის დროსაც პირს სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მიღება შეეძლება. იხილეთ ასევე ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 159-ე პარაგრაფი.

<sup>20</sup> ქვემოთ იხილეთ ასევე 52-53-ე პარაგრაფები.

<sup>21</sup> იხილეთ UNHCR-ის „სურემის ფაქტუმი“, 18-50 პარაგრაფები; ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 159(ii), 166-ე და 179-ე პარაგრაფები.



ლტოლვილს ექსტრადირების შემთხვევაში სხვა მსგავსი გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე ემუქრება.

## 2. გაძევებისგან დაცვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

17. მიმღები ქვეყნის ვალდებულებები არგაძევებასთან დაკავშირებით, რომელიც მას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ეკისრება, აწესებენ სავალდებულო შეზღუდვებს ექსტრადიციაზე თუ კონკრეტული პირის გარკვეული ქვეყნისთვის გადაცემის შემთხვევაში მას წამება ან ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევა შეიძლება დაემუქროს.
18. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის მე-3 მუხლში ნათქვამია: „არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება გააძეოს, დააბრუნოს ან გადასცეს მეორე ქვეყანას ის პირი, რომელიც, არსებული საფუძვლიანი ვარაუდიდან გამომდინარე, შეიძლება დაექვემდებაროს წამებას.“ რადგანაც წამების აკრძალვა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც *jus cogens* წარმოადგენს, გაძევების დაუშვებლობა მაშინ, როდესაც წამების საფრთხე არსებობს, სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის ისეთი სახელმწიფოებისთვისაც, რომლებსაც ჯერ ხელი არ მოუწერიათ შესაბამისი ხელშეკრულებებისთვის.<sup>22</sup>

<sup>22</sup> მაგალითად, იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №29: მუხლი 4: უფლებების შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის დროს“ გაეროს დოკ.: CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 2001 წლის 31 აგვისტო, პარაგრაფი: №11, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=453883fd1f>; იხილეთ ასევე ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე მომუშავე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე: „პროკურორი დელაჩიჩის და სხვების წინააღმდეგ“ (სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, რომელიც დათარიღებულია 1998 წლის 16 ნოემბრით), პარაგრაფი 454, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=41482bde4>; „პროკურორი ფურუნჯიას წინააღმდეგ“ (1998 წლის 10 დეკემბერს მიღებული სასამართლო პალატის გადაწყვეტილება), პარაგრაფები 134-164, ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=40276a8a4>; „პროკურორი კუნარაჩის და სხვების წინააღმდეგ“, სასამართლო პალატის გადაწყვეტილება (2001 წლის 22 თებერვალი), პარაგრაფი 466, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b7560>; და ლორდთა პალატის გადაწყვეტილება პინოჩეტის საქმეზე [1999] 2 All ER 97, პარაგრაფები 108-109, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.parliament.the-stationery-office.co.uk/pa/ld199899/ldjudgmt/jd990115/pino01.htm>. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით: „*jus cogens* ნორმად ითვლება ისეთი ნორმა, რომელიც მიღებული და აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და რომლის დარღვევა არ არის ნებადართული; ასეთი ნორმის ცვლილება მხოლოდ საერთო საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მიღებული იგივე ხასიათის სხვა ნორმით შეიძლება“. იხილეთ ასევე UNHCR-ის „სასამართლო განხილვაში თავისი ნებით ჩართული პირის ფაქტუმი, UNHCR, სურეში მოქალაქეობის და იმიგრაციის მინისტრის წინააღმდეგ; კანადის გენერალური პროკურორი, SCC No. 27790“, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3e71bbe24>, ეს დოკუმენტი ასევე შესულია 14:1 ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალში (2002 წელი), პარაგრაფები 42-50. იხილეთ ასევე ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოხსენებული ნაშრომის 222-237-ე პარაგრაფები.

19. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლებით აკრძალულია სიცოცხლის უკანონოდ წართმევა, წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა. ამ მუხლებში ასევე გათვალისწინებულია გაძევების აკრძალვა თუ ამის შედეგად ადამიანს ზემოხსენებული საფრთხე დაემუქრება.<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გაძევების აკრძალვა თუ ეს ადამიანს „გამოუსწორებელი ზიანის“ მიღების საშიშროების ქვეშ აყენებს ეხება ყველა ადამიანს, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება.<sup>24</sup> ამ ადამიანთა სიაში შედიან ლტოლვილებიც და თავშესაფრის მაძიებლებიც. იგივე ვალდებულება ეხება იმ ქვეყნებს, სადაც ადამიანის ექსტრადირება ხდება ან სადაც ესა თუ ის გაძევებული ან ექსტრადირებული ადამიანი საბოლოოდ შეიძლება მოხვდეს.<sup>25</sup> აღნიშნული ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება, მასთან დაკავშირებით არ დაიშვება არავითარი გამონაკლისი.<sup>26</sup>

20. არგაძევებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც ექსტრადიციას ზღუდავს ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პიროვნების სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ ექცევა, ასევე შესულია ადამიანის უფლებათა რეგიონალურ ხელშეკრულებებში. მაგალითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში მოქმედი 1969 წლის ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ (22(8)-ე მუხლი) განმარტავს: „დაუშვებელია უცხოელის დეპორტაცია ან გაძევება იმ ქვეყანაში (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მისი წარმოშობის ქვეყანა) სადაც მისი სიცოცხლე ან თავისუფლება საფრთხის ქვეშ შეიძლება

<sup>23</sup> იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №20: მუხლი 7 (წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა), 1992 წლის 10 მარტი, U.N. Doc. HRI/ GEN/1/Rev.7, პარაგრაფი 9, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=453883fb0>; და „საერთო კომენტარი №31 ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საერთო სამართლებრივი ვალდებულების ბუნების შესახებ“ U.N. Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 2004 წლის 21 აპრილი, პარაგრაფი 12, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=478b26ae2>. იხილეთ ასევე ბავშვთა უფლებების კომიტეტის „გენერალური კომენტარი №6 (2005) წარმოშობის ქვეყნის გარეთ უმეტესადაა დარჩენილი ბავშვების მიმართ მოპყრობის შესახებ“, U.N. Doc. CRC/GC/2005/6, 2005 წლის 3 ივნისი, პარაგრაფი 27, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=42dd174b4>.

<sup>24</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისთვის ეს ვალდებულება ნათლად იქნა ახსნილი ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ მის „საერთო კომენტარში №31“, პარაგრაფი 10.

<sup>25</sup> იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №31“, პარაგრაფი 12.

<sup>26</sup> უფრო დეტალური ინფორმაციისთვის და სხვა ცნობებისთვის იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნა დიპლომატიურ გარანტიებზე და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვაზე“ (რომელიც ამიერიდან მოხსენიებული იქნება როგორც „შენიშვნა დიპლომატიურ გარანტიებზე“), 2006 წლის 10 აგვისტო, პარაგრაფები 16-19, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=44dc81164>; და UNHCR-ის „მოსაზრება არგაძევების ვალდებულებების ექსტერიტორიალურ გამოყენებაზე 1951 წლის კონვენციის და მისი 1967 წლის პროტოკოლის ფარგლებში“, 2007 წლის 26 იანვარი, პარაგრაფები 17-22. ამ ნაშრომის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=45f17a1a4>.

დადგეს მისი რასის, ეროვნების, რელიგიის, სოციალური სტატუსის ან პოლიტიკური მოსაზრებების გამო“. წამების პრევენციის და დასჯის 1985 წლის ამერიკული კონვენციის მე-13(4) მუხლის მიხედვით: „ექსტრადიცია არ მოხდება და არც შეიძლება მოთხოვნილი იქნას თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონკრეტული პირის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება და რომ ეს პიროვნება შეიძლება წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი გახდეს და რომ იგი მოთხოვნილ ქვეყანაში შეიძლება იქნას სპეციალური ან სახელდახელოდ შექმნილი სასამართლოს მიერ გასამართლებული.“ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილებით, არგამეგების ვალდებულება იმ ვალდებულების ნაწილია, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვალდებულება მოქმედებს მაშინაც, როდესაც არსებობს რეალური რისკი, რომ კონკრეტული პიროვნების ექსტრადიციის ან გამეგების შედეგად, ის შეიძლება ზემოხსენებული მოპყრობის მსხვერპლი გახდეს.<sup>27</sup>

### 3. ვალდებულებების იერარქია

---

<sup>27</sup> ასევე იხილეთ მაგალითად „სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განცხადება №14038/88, 1989 წლის 7 ივლისი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b6fec>, და შემდგომი საქმეები, მათ შორის „კრუს ვარასი შვედეთის წინააღმდეგ“, განცხადება №15567/89, 1991 წლის 20 მარტი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b6fe14>; „ვილვარაჯა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განცხადება № 13163/87 et al., 1991 წლის 30 ოქტომბერი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b7008>; „ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განცხადება №22414/93, 1996 წლის 15 ნოემბერი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b69920>; „აჰმედი ავსტრიის წინააღმდეგ“, განცხადება №25964/94, 1996 წლის 17 დეკემბერი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b62f2c>; „71 გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განცხადება №43844/98 (მიღება), 2000 წლის 7 მარტი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b6dfc>. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ საქმეზე „საადი იტალიის წინააღმდეგ“ (განცხადება № 37201/06, 2008 წლის 28 თებერვალი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=47c6882e2>), კვლავ დაადასტურა მისი ადრინდელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში წამების და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა დაუშვებელია, ამ გადაწყვეტილების მიხედვით ასევე დაუშვებელია გამეგება თუ ბრალდებულს წამება ან არაადამიანური მოპყრობა ემუქრება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქცევა ეს პირი, და რამდენად მიუღებელი და სახიფათოა იმ დანაშაულის ბუნება, რომლის ჩადენაც მას ბრალდება. სასამართლომ ასევე კიდევ ერთხელ გაიმეორა მისი ადრინდელი მოსაზრება, რომ ბრალდებულის წამების ან მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რისკის შედარება მისი გამეგების მიზეზებთან შეუძლებელია, შესაბამისად ამ შემთხვევაში შეუძლებელია კონკრეტული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში.



21. როდესაც მიმღები ქვეყანა ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება-არ დაკმაყოფილების საკითხს წყვეტს, იგი შეიძლება სხვადასხვა, ერთმანეთის გამომრიცხავი, ვალდებულებების კონფლიქტის წინაშე დადგეს. ერთის მხრივ, ამ სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს ექსტრადირების მოვალეობა მოთხოვნელ ქვეყანასთან დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში ან საერთაშორისო თუ რეგიონალური ინსტრუმენტების დებულებების მიხედვით, რომლებიც მხარეებს ექსტრადირების ან სამართლებრივი დევნის ვალდებულებას აკისრებენ. მეორეს მხრივ, მიმღებ ქვეყანას აქვს არგამევეების ვალდებულება ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რომელიც კრძალავს ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის მოთხოვნელ ქვეყანაში თუ ზემოთხსენებულ გარემოებებს აქვს ადგილი. ასეთ სიტუაციებში პიროვნების ექსტრადიციის აკრძალვა ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში უფრო მაღალი რანგის ვალდებულებაა ვიდრე ექსტრადიციის განხორციელების ნებისმიერი ვალდებულება.

22. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულების აღმატებული სამართლებრივი ძალა ყველა შემთხვევაში აღმატებული იქნება მიუხედავად იმისა თუ რა სპეციფიკური დებულებები არის შეტანილი ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებებში.<sup>28</sup> ასეთი ვალდებულებების უფრო დიდი სამართლებრივი ძალა განპირობებულია მათი ბუნებით<sup>29</sup> და იმ ადგილით, რომელიც ამგვარ ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლებრივ იერარქიაში უჭირავთ. ეს მდგომარეობა დაფუძნებულია გაეროს ქარტიის 103-ე, 55(c)-ე და 56-ე მუხლებზე. გაეროს ქარტიის 103-ე მუხლის მიხედვით ქარტიის ფარგლებში არსებული ვალდებულებები სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების ვალდებულებებზე მაღლა დგას.<sup>30</sup> გარდა ამისა გაეროს ქარტიის 55(c)-ე და 56-ე მუხლების მიხედვით გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გაეროს მიზნების მიღწევითვის იღვაწონ, ამ ვალდებულებებში შედის ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემა და დაცვა, ამასთან ერთად, ეს

<sup>28</sup> მაგალითად იხილეთ ექსტრადიციის შესახებ 1981 წლის ამერიკის კონვენციის მე-6 მუხლი, მისი ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b38510>, რომლის მიხედვითაც: „ამ კონვენციის არცერთი დებულება არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც თავშესაფრის მიღებაზე შეზღუდვა, როდესაც თავშესაფრის მიცემა სამართლებრივად მისაღებია“.

<sup>29</sup> იმ ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, რომლებიც უბრალოდ სუბიექტურ, ორმხრივ უფლებებს და მოვალეობებს ანიჭებენ მათ ხელმომწერ სახელმწიფოებს, ადამიანის უფლებების და ლტოლვილების დამცველი ინსტრუმენტები ადგენენ „განსაკუთრებულ სამართლებრივ წესრიგს, რომელშიც ადამიანის უფლებების დაცვის ობიექტური ვალდებულებები შედის“. იხილეთ მ.ნ. შოუს „საერთაშორისო სამართალი“, მე-4 გამოცემა, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, კემბრიჯი (1997 წელი), გვერდი 696.

<sup>30</sup> გაეროს ქარტიის 103-ე მუხლი, რომლის ელექტრონული ვერსია შემდეგ ვებ მისამართზეა განთავსებული: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b3930>, აცხადებს: „იმ შემთხვევაში, თუ გაეროს წევრი ქვეყნების მიერ წინამდებარე ქარტიის ფარგლებში აღებული ვალდებულებები ეწინააღმდეგება მათ ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, ამ ქარტიის ვალდებულებებს აღმატებული სამართლებრივი ძალა მიენიჭებათ“.



ვალდებულება მოქმედებს ნებისმიერი ადამიანის მიმართ მისი რასის, სქესის, ენის ან რელიგიის მიუხედავად.<sup>31</sup>

23. ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არსებული ვალდებულებების სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით აღმატებული სამართლებრივი ძალის პრინციპი ასევე მოქმედებს სახელმწიფოების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი პრევენციის კონტექსტშიც.<sup>32</sup> ამ მიმართებით გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას ხშირად გაუმეორებიათ, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ის, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ტერორიზმის წინააღმდეგ, შეესაბამებოდეს მათ მიერ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, კონკრეტულად კი ადამიანის უფლებების, ლტოლვილების და ჰუმანიტარული საკითხების შესახებ საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს.<sup>33</sup> ორივე

<sup>31</sup> გაეროს ქარტიის 55(c)-ე მუხლში ნათქვამია: „სტაბილურობის და კეთილდღეობის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით, რომლებიც აუცილებელია ერებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის, ხალხების თანაბარი უფლებების და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემაზე დაყრდნობით, გაეროს შემდეგი მიზნები აქვს: ... (გ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემის და დაცვის ხელშეწყობა ყველა ადამიანისთვის, რასის, სქესის, ენის ან რელიგიის მიუხედავად“. ქარტიის 56-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა წევრი ქვეყანა პირობას დებს 55-ე მუხლის მიზნების მისაღწევად გაეროსთან თანამშრომლობით ერთობლივად და ცალ-ცალკე იმოქმედონ“.

<sup>32</sup> იხილეთ 2005 წლის 14 სექტემბრის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია S/RES/1624(2004), პრეამბულის პარაგრაფები 2 და 7 და ძირითადი ტექსტის პარაგრაფი 4 (რომელშიც ასევე გამოვლენილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლში შესული თავშესაფრის მოთხოვნის და მიღების უფლება). ასევე იხილეთ 1994 წლის საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრაზე მიმართული ზომების შესახებ დეკლარაციის შემცველი დეკლარაცია, რომელიც 1997 წლის 16 იანვარს მიღებული გენერალური ასამბლეის A/RES/51/210 რეზოლუციის ნაწილია, პრეამბულის პარაგრაფი 8; 2006 წლის 28 თებერვალს მიღებული A/RES/60/158 რეზოლუცია ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ, პრეამბულის პარაგრაფი 7 და ძირითადი ტექსტის პარაგრაფი 5.

<sup>33</sup> იხილეთ უშიშროების საბჭოს შემდეგი რეზოლუციები: 1999 წლის 19 ოქტომბერს მიღებული SC/RES/1269 (1999) რეზოლუცია, პარაგრაფი 4; 2001 წლის 28 სექტემბერს მიღებული SC/RES/1373 (2001) რეზოლუცია, პარაგრაფი 3(ფ) და 3(გ); 2003 წლის 20 იანვარს მიღებული S/RES/1456(2003) რეზოლუცია, დანართის მე-6 პარაგრაფი; 2004 წლის 26 მარტის S/RES/1535(2004) რეზოლუცია, დანართის პრეამბულის პარაგრაფი 6; 2004 წლის 8 ოქტომბრის S/RES/1566(2004) რეზოლუცია, პრეამბულის პარაგრაფი 4; 2005 წლის 29 ივლისის SC/RES/1617 (2005) რეზოლუცია, პრეამბულის პარაგრაფი 4; 2005 წლის 14 სექტემბრის S/RES/1624 (2005) რეზოლუცია, პრეამბულის პარაგრაფი 2 და ძირითადი ნაწილის პარაგრაფი 4. ასევე იხილეთ გენერალური ასამბლეის შემდეგი რეზოლუციები: 2004 წლის 9 დეკემბრის A/RES/49/60 რეზოლუციის დანართის მე-5 პარაგრაფი; 1996 წლის 17 დეკემბრის A/RES/51/210 რეზოლუციის დანართის პრეამბულის მე-6 და მე-7 პარაგრაფები (1951 წლის კონვენციის 1-ლი, მე-2, 32-ე და 33-ე მუხლების მითითებით); 2003 წლის 27 თებერვლის A/RES/57/219 რეზოლუცია ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, პარაგრაფი 1; 2006 წლის 6 იანვრის A/60/43 რეზოლუცია, პრეამბულის მე-11 და მე-19 პარაგრაფები, ძირითადი ტექსტის მე-3 პარაგრაფი; 2006 წლის 28 თებერვალს მიღებული A/RES/60/158 რეზოლუცია ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, პრეამბულის პარაგრაფი 7 და 13, ძირითადი ტექსტის 1-ლი და მე-5 პარაგრაფები; 2008 წლის 8 იანვრის A/RES/62/71 რეზოლუცია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ზომების შესახებ, პრეამბულის პარაგრაფები 12 და 20; და განსაკუთრებით 2008 წლის 11 მარტის A/RES/62/159 რეზოლუცია ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ.

ორგანომ ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოების ვალდებულებები 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის პროტოკოლის ფარგლებში, მათ შორის არგამევეების პრინციპი.<sup>34</sup> სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების, კონკრეტულად კი ადამიანის უფლებების, ლტოლვილების და ჰუმანიტარულ საკითხებზე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებული ვალდებულებების სრული დაცვის აუცილებლობა, განსაკუთრებით კი ექსტრადიციასთან მიმართებით, გამეორებული იქნა გაეროს გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 6 სექტემბერს იქნა მიღებული.

## ბ. არგამევეების პრინციპის გამოყენება ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის საკითხის განხილვისას

### 1. ლტოლვილები

*ექსტრადიციის მოთხოვნა, რომელიც ლტოლვილის წარმოშობის ქვეყნის მიერ არის წამოყენებული*<sup>35</sup>

24. თუ ლტოლვილის ექსტრადიციას მისი წარმოშობის ქვეყანა ითხოვს 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლის ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მიმღებ ქვეყანას არ აქვს უფლება მოახდინოს ამ ლტოლვილის ექსტრადირება. ამ შემთხვევებში, არგამევეების პრინციპი, რომელიც ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ნაწილია, კრძალავს ექსტრადიციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღები ქვეყანა ადგენს, რომ აღნიშნული პიროვნების მიმართ 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლში მოცემული გამონაკლისები შეიძლება იქნას გამოყენებული.<sup>36</sup> მაშინაც კი, როდესაც ამგვარი გამონაკლისების გამოყენება შესაძლებელია, მიმღებმა ქვეყანამ მის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი არგამევეების პრინციპი ბოლომდე უნდა დაიცვას.<sup>37</sup>

25. იგივე ვალდებულება სრულად მოქმედებს მაშინაც, როდესაც მოთხოვნილი ქვეყანა იძლევა იმის გარანტიებს, რომ კონკრეტული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში იგი არ გახდება დევნის ან ზიანის მსხვერპლი. UNHCR-ის აზრით, ამგვარი დაპირებები, რომლებსაც ჩვეულებრივ „დიპლომატიურ გარანტიებად“ მოიხსენიებენ, არ უნდა იქნას გათვალისწინებული, როდესაც საქმე ეხება 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლით დაცული ლტოლვილის პირდაპირ ან

<sup>34</sup> იხილეთ 2006 წლის 6 სექტემბერს მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № A/60/288 გაეროს გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგიის შესახებ, დანართი II.3

<sup>35</sup> ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინი „წარმოშობის ქვეყანა“ გულისხმობს იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეცაა პიროვნება, ხოლო მოქალაქეობის არმქონე ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში, ეს არის ის ქვეყანა, სადაც ის მუდმივად ცხოვრობდა.

<sup>36</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 13-15.

<sup>37</sup> იხილეთ ზემოთ მე-17-20 პარაგრაფები. ასევე იხილეთ UNHCR-ის „სურეშის ფაქტუმი“, გვერდები 141-157; UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფი 31, და ე. ლაუტერპაქტის და დ. ბეთლემის ზემოთხსენებულ ნაშრომში მოყვანილი განხილვები, პარაგრაფები 159(ii), 166 და 179.

არაპირდაპირ დაბრუნებას მის წარმოშობის ქვეყანაში.<sup>38</sup> ამის მიზეზი კი არის ის, რომ მიმღებმა ქვეყანამ ინდივიდუალური კვლევის საფუძველზე უკვე დაადგინა, რომ აღნიშნულ ლტოლვილს ნამდვილად აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ იგი წარმოშობის ქვეყანაში დევნის მსხვერპლი გახდება. მას შემდეგ, რაც მიმღები ქვეყანა ამ დასკვნამდე მივა, მისი მხრიდან იმ ქვეყნის დაპირების დაჯერება, რომელსაც ამგვარი დევნის განხორციელება შეუძლია, შეუსაბამო იქნება 1951 წლის კონვენციის სამართლებრივი დაცვის პრინციპებთან.<sup>39</sup>

### *ექსტრადიციის მოთხოვნა სხვა ქვეყნიდან*

26. თუ სახელმწიფო, რომელიც ლტოლვილის ექსტრადირებას ითხოვს არ არის ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანა, მიმღებმა ქვეყანამ მაინც უნდა გამოიკვლიოს, შეესაბამება თუ არა ლტოლვილის ამ სახელმწიფოსთვის გადაცემა მის მიერ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს არგამეცების შესახებ.<sup>40</sup> ამისათვის მიმღები ქვეყანა უნდა დარწმუნდეს, რომ ექსტრადიციის შედეგად ლტოლვილი არ დაექვემდებარება დევნის, წამების ან სხვა გამოუსწორებელი ზიანის რისკს მთხოვნელ ქვეყანაში ან წარმოშობის თუ მესამე ქვეყანაში (თუ მისი იქ გადაყვანა მოხდება).

27. ზემოხსენებული საკითხის გარკვევისას, მიმღებმა ქვეყანამ უნდა შეაფასოს ის სიტუაცია, რომელშიც კონკრეტული პიროვნება აღმოჩნდება მისი მთხოვნელ ქვეყანაში ექსტრადირების შემთხვევაში. თუ მთხოვნელი ქვეყანა ლტოლვილის მიმართ ზემოთხსენებულ დიპლომატიურ დაპირებებს დადებს, უნდა მოხდეს ამ დაპირებების შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით შემოწმება.

28. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს აქვს უფლება გადასცეს პიროვნება მეორე ქვეყანას ამ უკანასკნელის მიერ გაცემული დიპლომატიური გარანტიების საფუძველზე მხოლოდ მაშინ თუ ეს გარანტიები ნამდვილად ანეიტრალებენ ამ პიროვნების მიმართ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის რისკს. ამისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ აღნიშნული გარანტიები:

- (i) შესაბამისი საშუალებაა კონკრეტული პიროვნების მიმართ არსებული საშიშროების გასანეიტრალებლად და რომ
- (ii) მიმღებ ქვეყანას შეუძლია ენდოს ამგვარ დაპირებებს.<sup>41</sup>

<sup>38</sup> იხილეთ UNHCR-ის „სურემის ფაქტუმი“, პარაგრაფი 51.

<sup>39</sup> იხილეთ UNHCR-ის „სურემის ფაქტუმი“, პარაგრაფი 52.

<sup>40</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 8-20.

<sup>41</sup> ეს კრიტერიუმები შემუშავდა საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, ეს გადაწყვეტილებები ეხება ექსტრადიციის მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობდა სიკვდილით დასჯის, სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევის, წამების და ადამიანის უფლებების სხვა სახის დარღვევების სერიოზული რისკი. ეს საკითხი ასევე იქნა განხილული ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე

29. დიპლომატიური გარანტიების სანდოობის შემოწმება შედარებით ადვილია, როდესაც კონკრეტულ პიროვნებას, ექსტრადირების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯა ემუქრება, მაგრამ ასეთი დიპლომატიური გარანტიების შემოწმება საკმაოდ პრობლემატურია მაშინ, როდესაც პიროვნებას, ექსტრადირების შემთხვევაში, წამება ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები შეიძლება დაემუქროს.<sup>42</sup> წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფოების მიერ გაცემულ დიპლომატიურ გარანტიებზე იყო საუბარი, გამოთქმულია აზრი, რომ „ასეთი გარანტიები არასანდო და არაეფექტურია წამებისგან და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის მხრივ: ამგვარი გარანტიები ჩვეულებრივ გაიცემა სწორედ ისეთი ქვეყნების მიერ, სადაც წამების პრაქტიკა სისტემატურად გამოიყენება; ადამიანის ასეთ ქვეყნებში დაბრუნების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმები არ წარმოადგენს წამების აღკვეთის გარანტიას; დიპლომატიური გარანტიების შესრულება არ არის სამართლებრივად სავალდებულო, ამიტომ მათი დარღვევისთვის აღნიშნულ ქვეყანას არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო იმ პირს, რომლის წამებისგან დაცვის პირობას დებდა ესა თუ ის სახელმწიფო, ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორების არავითარი საშუალება არ აქვს. ამიტომ, სპეციალური მომხსენებლის აზრით, სახელმწიფოებმა არ უნდა განიხილონ დიპლომატიური დაპირებები წამებისგან ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის გარანტიებად, მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში კონკრეტული პიროვნება წამების ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლი შეიძლება გახდეს.“<sup>43</sup>

---

ექსპერტების მიერ, რომლებიც, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის მანდატით მუშაობენ. დამატებითი დეტალების გასაცნობად, გთხოვთ, იხილოთ UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფები 20-26.

<sup>42</sup> მაგალითად, ეს საკითხი კანადის უზენაესმა სასამართლომ განიხილა მისი გადაწყვეტილების მოტივაციაში საქმეზე „სურეში კანადის წინააღმდეგ (მოქალაქეობის და იმიგრაციის მინისტრი)“, [2002] 1 S.C.R. 3, 2002, SCC 1, პარაგრაფი 124, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3c42bdfa0>, მოტივაციაში კერძოდ ნათქვამია: „სასარგებლო იქნება გარანტიებზე კომენტარის გაკეთება. არსებობს განსხვავება სახელმწიფოს მიერ (სამართლებრივი პროცესის შედეგად) სიკვდილით დასჯის არგამოყენების შესახებ გაცემულ გარანტიებსა და წამების არ გამოყენების შესახებ (უკანონო ქმედება) სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებს შორის. ჩვენ გავვიჭირდება წამების არგამოყენების შესახებ ისეთი ქვეყნის დაპირებების ბოლომდე დაჯერება, რომელიც წარსულში მონაწილეობდა უკანონო წამებაში ან ნებას რთავდა სხვა მხარეებს მის ტერიტორიაზე მოეხდინათ ამგვარი ქმედებები. ასეთი დაპირებების დაჯერება განსაკუთრებით რთულია იმ შემთხვევებში, როდესაც წამებას არა მხოლოდ ხელისუფლება არამედ მის მიერ უკონტროლო ოფიციალური პირები მიმართავენ. ამიტომ, აუცილებელია დავინახოთ განსხვავება სიკვდილით დასჯის და წამების არგამოყენების შესახებ გაცემულ გარანტიებს შორის, რადგან სიკვდილით დასჯის არგამოყენების შესახებ დადებული პირობა საერთოდ უფრო სანდოა და ადვილი გასაკონტროლებელი ვიდრე წამების არგამოყენების შესახებ დადებული პირობა“.

<sup>43</sup> წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში „შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეისთვის“, U.N. Doc. A/60/316, 2005 წლის 30 აგვისტო, პარაგრაფი 51, ელექტრონული ვერსია

30. UNHCR-ის აზრით, ლტოლვილის ექსტრადიციის მოთხოვნასთან ერთად წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიები, რომელთა ავტორიცაა ის სახელმწიფო, რომელიც ამ ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანა არ არის, ისევე უნდა იქნას შემოწმებული, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული. იმისათვის, რომ მიმღებმა ქვეყანამ შეასრულოს მის მიერ ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი არგამეცების ვალდებულება, მან უნდა შეამოწმოს რამდენად მისაღები და სანდოა წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიები იმისათვის, რომ გამოირიცხოს კონკრეტული პიროვნების დევნა ექსტრადიციის მომთხოვნ ქვეყანაში, მის წარმოშობის ქვეყანაში ან მესამე სახელმწიფოში (თუ შემდგომში მისი წარმოშობის ქვეყანაში ან მესამე სახელმწიფოში გადაყვანა მოხდა).<sup>44</sup>

## 2. თავშესაფრის მაძიებლები

*ექსტრადიციის მოთხოვნა, რომელიც წამოყენებულია თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნის მიერ*

31. თავშესაფრის მაძიებლები 1951 წლის 33(1)-ე მუხლით და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით არიან დაცულნი გამეცებისგან. ისინი ამ დაცვით სარგებლობენ თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში. მიმღებ ქვეყანას არ აქვს უფლება მოახდინოს თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირება მის წარმოშობის ქვეყანაში მანამ, სანამ ამ პიროვნების თავშესაფრის თხოვნის განხილვა მიმდინარეობს; იგივე აკრძალვა მოქმედებს აპელაციის ეტაპზეც.<sup>45</sup>

32. იგივე შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომთხოვნმა ქვეყანამ გასცა დიპლომატიური გარანტიები იმის თაობაზე, რომ არ მოხდება თავშესაფრის მაძიებლის მიმართ რაიმე უკანონო ქმედება მისი ექსტრადირების შემთხვევაში. UNHCR-ის აზრით, მთხოვნელი ქვეყნის მიერ გაცემული ამგვარი დიპლომატიური გარანტიები, მიმღები ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა, კონკრეტული პირის მომთხოვნ ქვეყანაში ექსტრადირების შემთხვევაში, დევნის მსხვერპლად ქცევის ალბათობის განსაზღვრის ფარგლებში უნდა განიხილონ. ასეთ შემთხვევებში, დიპლომატიური გარანტიების სერიოზულობა მიმღებმა ქვეყანამ ამ ნაშრომის 28-ე პარაგრაფში აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეაფასოს. იმისათვის, რომ დიპლომატიურმა გარანტიებმა სანდოობის კრიტერიუმები დააკმაყოფილონ, დევნის ნებისმიერი შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს. ამ შემთხვევაში „დევნაში“ იგულისხმება როგორც ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში აღნიშნული ქმედებები ასევე ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები, მაგალითად სიცოცხლის ან თავისუფლების ერთპიროვნულად და უსამართლოდ წართმევა,

---

განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=43f30fb40>.

<sup>44</sup> მეტი დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფი 20-26 და 48-55. ასევე ქვემოთ იხილეთ პარაგრაფი 32.

<sup>45</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 11. ასევე ქვემოთ იხილეთ პარაგრაფები 61-68, სადაც განხილულია ექსტრადიციასა და თავშესაფრის პროცედურებს შორის შესაბამისი ურთიერთკავშირი.



წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა.<sup>46</sup> წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიების შეფასებისას მიმღებმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს მთხოვნელ სახელმწიფოში არსებული სიტუაცია, მათ შორის, ამ ქვეყნის მიერ წარსულში გაცემული მსგავსი გარანტიების შესრულების ხარისხი, ისევე როგორც ამ დაპირებების შესრულების მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების არსებობა.<sup>47</sup>

33. თუ თავშესაფრის მაძიებელი აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, მაშინ 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლში ასახული არგამევეების პრინციპი მის ექსტრადირებას კრძალავს, თუ ამ პიროვნების მიმართ 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლში შესული რომელიმე გამონაკლისის გამოყენება არაა შესაძლებელი<sup>48</sup>. როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული ექსტრადირების აკრძალვის დებულებები ამ შემთხვევაშიც მოქმედებს და ასეთი გამონაკლისების გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი კონკრეტული პიროვნების ექსტრადირება მაინც დაუშვებელი იქნება.<sup>49</sup>

34. თუ თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს ან თუ მას ამგვარი სტატუსი არ ეკუთვნის, მაშინ ეს პირი არ იქნება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დაცული. თუმცა მიმღებ ქვეყანას მის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებული არგამევეების ვალდებულებების გამო შეიძლება მაინც აეკრძალოს ამ პირის ექსტრადირება.<sup>50</sup>

#### *თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის მოთხოვნა სხვა ქვეყნიდან*

---

<sup>46</sup> დევნას სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის, მაგალითად, დისკრიმინაციული ზომები, რომლებიც თავისთავად ან ერთობლიობაში იწვევენ არსებითად უარყოფით შედეგებს. ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების შეზღუდვა ასევე შეიძლება უდრიდეს დევნას, თუ ამგვარი შეზღუდვების შედეგად პიროვნებას თავის რჩენის საშუალება აღარ აქვს. იხილეთ UNHCR-ის „სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებსა და კრიტერიუმებზე“, („სახელმძღვანელო“), შენევა 1979 წელი, მეორე გამოცემა 1992 წელს იქნა დაბეჭდილი, პარაგრაფები 51-64, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b3314>.

<sup>47</sup> უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფი 36 და 44-55.

<sup>48</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლში მოცემული მოთხოვნები არ წარმოადგენს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს და შესაბამისად ამ მოთხოვნების შესრულება ან არ შესრულება არ უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული პიროვნებისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცესისას. 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლში ნახსენები გამონაკლისების გამოყენება ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული პიროვნება კარგავს არგამევეების პრინციპის წყალობით არსებულ დაცვის გარანტიებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლტოლვილის სტატუსი არ გაუქმებულა.

<sup>49</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 16-20 და 24.

<sup>50</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 17-20.

35. თუ სახელმწიფო, რომელიც თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციას ითხოვს არ არის ამ პიროვნების წარმოშობის ქვეყანა, მიმღები ქვეყანა ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ვალდებულია შეაფასოს ყველა რისკი, რომელიც კონკრეტული პიროვნების ამ ქვეყანაში ექსტრადიციას ახლავს. თავშესაფრის მაძიებლის მოპყრობის შესახებ გაცემული ნებისმიერი დიპლომატიური გარანტია მიმღები ქვეყნის მიერ უნდა იქნას შემოწმებული იმ პროცესის ფარგლებში, რომელშიც ხდება განსაზღვრა ექსტრადირების შემთხვევაში დაემუქრება თუ არა კონკრეტულ პიროვნებას დევნის, წამების ან სხვა გამოუსწორებელი ზიანის საშიშროება.<sup>51</sup>

36. თუ კონკრეტულ პირს, მომთხოვნ ქვეყანაში, 1951 წლის კონვენციაში აღნიშნული დევნის ან წარმოშობის ქვეყანაში გადაყვანის საფრთხე ემუქრება, მაშინ მიმღებ ქვეყანას, 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლის, ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, ეკრძალება თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირება.<sup>52</sup> მომთხოვნ სახელმწიფოში ადამიანის ექსტრადირებისას მიმღებმა ქვეყანამ ასევე უნდა უზრუნველყოს მის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აღებული არგამეცვების პრინციპის აღსრულება.<sup>53</sup>

37. თუ დადგინდა, რომ მომთხოვნ ქვეყანაში კონკრეტული პირის ექსტრადირება არ წარმოადგენს მიმღები ქვეყნისაგან არგამეცვების ვალდებულების დარღვევას, მაშინ შესაძლებელია თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირება. თუმცა ამ პროცესში ჩართულ ქვეყნებს ევალებათ უზრუნველყონ თავშესაფრის სამართლიანი და ეფექტური პროცედურა, როგორც მიმღებ, ისე მომთხოვნ ქვეყნებში.<sup>54</sup>

## გ. არგამეცვებასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღსრულება ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის საკითხის განხილვისას

### 1. არგამეცვების დებულებები ექსტრადიციის კონტექსტში

38. ბევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა იძლევა ადამიანის ექსტრადიციაზე უარის თქმის საშუალებას თუ ეს პიროვნება ლტოლვილია,<sup>55</sup> და/ან თუ მისი ექსტრადირების შემთხვევაში არსებობს ამ პირის წამების ან მისი ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევის მსხვერპლად ქცევის

<sup>51</sup> ამ შეფასებაში უნდა იქნას გათვალისწინებული გაცემული გარანტიების სანდოობა. იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 28 და 32 და უფრო მეტი დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნები დიპლომატიურ გარანტიებზე“, პარაგრაფი 37.

<sup>52</sup> ასევე ზემოთ იხილეთ მე-11, 31-ე და 33-ე პარაგრაფები.

<sup>53</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 17-20.

<sup>54</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 67-68 და 88-89.

<sup>55</sup> ასეთი დებულებები შესულია ზოგიერთი ქვეყნის საექსტრადიციო, სისხლის სამართლის და საკონსტიტუციო კანონმდებლობებში. თავშესაფრის შესახებ კანონმდებლობაში ასევე შეიძლება შედიოდეს დებულებები, რომლებიც ლტოლვილების და/ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის მოთხოვნებს ეხება. არასრული სიის ნახვა შესაძლებელია ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარში“.

საშიშროება.<sup>56</sup> ამავდროულად, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადირება სასტიკად აკძალულია.<sup>57</sup> ზოგ ქვეყანაში კი არგამევეების ვალდებულება, რომელიც ლტოლვილების შემთხვევაში მოქმედებს, ასევე, თავშესაფრის მაძიებლებზეც ვრცელდება. სხვადასხვა ქვეყნის ექსტრადიციის კანონმდებლობაში არსებული არგამევეების პრინციპი, რომლებიც კრძალავს ადამიანების გამევეებას ან ექსტრადირებას იმ შემთხვევაში თუ ამ ადამიანების სიცოცხლე ან თავისუფლება მთხოვნელ ქვეყანაში საფრთხის ქვეშ დადგება, ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც ლტოლვილების, ისე თავშესაფრის მაძიებლების შემთხვევებში.

39. UNHCR-ის აზრით, ეროვნულ კანონმდებლობებში უნდა მოხდეს კონკრეტული დებულებების შეტანა, რომლებიც შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს დაავალებს ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირებაზე უარის თქმას თუ ეს ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის არგამევეებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც ამ სახელმწიფომ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში იკისრა. ასეთი დებულებები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენენ, რადგან ისინი საერთაშორისო სამართლებრივი მოთხოვნების ნათელი გამოხატულებაა, რომელიც ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, ვალდებულება, რომლის მიხედვითაც არ უნდა მოხდეს ექსტრადირება თუ ეს ლტოლვილთა და/ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით არგამევეების პრინციპის დარღვევის ტოლფასი იქნება, აუცილებლად უნდა იქნას აღსრულებული მიმღები ქვეყნის მიერ, მაშინაც კი, როცა ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ნათლად არ ითვალისწინებს ამ საფუძველზე ექსტრადიციის აკრძალვას.<sup>58</sup>

<sup>56</sup> წამების რისკის არსებობის შემთხვევაში ექსტრადიციის ამკრძალავი დებულებების მაგალითები მოყვანილია ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარში“, პარაგრაფი 132-133.

<sup>57</sup> მაგალითად იხილეთ ბოსნიის და ჰერცეგოვინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ს. 415(1)(b) დებულება; სლოვაკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 501 (b)-ე დებულება.

<sup>58</sup> პრინციპი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია მის მიერ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულებისთვის და რომ ეს პასუხისმგებლობა მოქმედებს იმ ქმედებების ან შეცდომების შემთხვევაშიც, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების მქონე საკანონმდებლო, სასამართლო ან აღმასრულებელი ორგანოების, ქვეგანყოფილებების და პირების მიერ, რომლებიც ზემოხსენებული ქმედებების ან შეცდომების ჩადენისას სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებით მოქმედებდნენ, ნათლად არის გაწერილი საერთაშორისო სამართალში. იგივე ეხება პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულების შემთხვევაში არ შეუძლია თავი იმართლოს მისი შიდა კანონმდებლობის დებულებებით. იხილეთ მაგალითად „დებულებები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ“, მე-4 და 32-ე მუხლები, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 2001 წლის 12 დეკემბრის რეზოლუცია №56/83-ის ნაწილია, რეზოლუციის სახელწოდებაა „სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საერთაშორისო დონეზე ჩადენილი არასწორი ქმედებებისთვის“; ასევე იხილეთ საერთაშორისო სამართლის კომისიის „2001 წლის ყოველწლიური ანგარიშის“ IV თავის კომენტარები, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://untreaty.un.org/ilc/reports/2001/2001report.htm>



## 2. ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სხვა შესაბამისი დებულებები და პრინციპები და მათი ურთიერთქმედება არგამეცვების პრინციპთან

### დისკრიმინაციის შესახებ დებულებები

40. ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებები, ტერორიზმის და სხვა ტიპის ტრანსნაციონალური დანაშაულის აღკვეთის, პრევენციის და დასჯის საერთაშორისო ინსტრუმენტები, ისევე, როგორც ექსტრადიციის შესახებ არსებული ეროვნული კანონმდებლობები, შეიცავენ დებულებებს, რომელთა მიხედვით მიმღებ ქვეყანას შეუძლია ან ვალდებულია უარი განაცხადოს ექსტრადირებაზე თუ ის ჩათვლის, რომ რიგითი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ექსტრადიციის მოთხოვნა მისი დევნის და/ან დისკრიმინაციის მიზნით არის გაკეთებული. ექსტრადიციაზე უარის თქმის ეს მიზეზი, რომელსაც ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში „დისკრიმინაციის შესახებ დებულებას“ უწოდებენ, მჭიდრო კავშირშია 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლში მოცემულ არგამეცვების დებულებასთან.<sup>59</sup>

41. იმისათვის, რომ მიმღები ქვეყნის მიერ ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი არგამეცვების ვალდებულება იქნას შესრულებული, UNHCR-ის აზრით, ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ზემოხსენებული გარანტიები სავალდებულო უნდა იყოს და არა რეკომენდაციული ხასიათის.<sup>60</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის შესახებ დებულებების მასშტაბი ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში გაცილებით შეზღუდულია და ბევრ მნიშვნელოვან ასპექტში განსხვავდება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში არსებული არგამეცვების

<sup>59</sup> მაგალითად იხილეთ ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპის კონვენციის მე-3(2) მუხლი, რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b36b0>. ამ მუხლის მიხედვით, ექსტრადიცია არ უნდა მოხდეს თუ „მიმღებ ქვეყანას აქვს საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ რიგითი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ექსტრადიციის მოთხოვნა გაკეთებულია ამ პირის დევნის ან დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულების გამო“. შვეიცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა ეს დებულება ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის კონტექსტში არგამეცვების პრინციპის ნათელ გამოხატულებად მოიხსენია (იხილეთ 1990 წლის 18 დეკემბრის 1.A127/1990/tg საქმედან ამონარიდი № IJRL/0152 გადაწყვეტილებები, რომლებიც მოცემულია 5:2 „ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალში“ (1993), გვერდები 271-273; 1996 წლის 11 სექტემბერი, BGE 122 II 373, გვერდები 380-382 და 2005 წლის 14 დეკემბრის 1A.267/2005/gji, 3.1). ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის შესახებ დებულებების შინაარსისა და მასშტაბის შესახებ უფრო მეტი დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 88-104 და 249-252.

<sup>60</sup> იხილეთ ასევე ექსტრადიციის შესახებ სამოძღვრო ხელშეკრულების მე-3(ბ) მუხლი, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წელს იქნა მიღებული (1990 წლის 14 დეკემბრის A/RES/45/116 გადაწყვეტილება, დანართი), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3b00f18618>. და ექსტრადიციის შესახებ სამოძღვრო კანონის (2004 წელი) მე-5 მუხლი, რომელიც გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის აღმოფხვრაზე მომუშავე ოფისის მიერ იქნა შემუშავებული. ამ მუხლის მიხედვით, შესაბამის კანონმდებლობაში „დისკრიმინაციის შესახებ დებულებები“ ექსტრადიციაზე უარის თქმის სავალდებულო მიზეზებად უნდა იქნას დასახელებული.

პრინციპისგან. ამიტომ, დისკრიმინაციის შესახებ დებულებები ექსტრადიციის პროცედურების ჩატარებისას ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების გაძევებისგან დაცვის ერთადერთ საშუალებად არ უნდა იქნას განხილული.<sup>61</sup> აქედან გამომდინარე ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციასთან დაკავშირებით მიმღები ქვეყანა კვლავ შეზღუდულია არგამეცვების ვალდებულებით, რომელიც მას ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აქვს ნაკისრი.

*ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ექსტრადირებაზე უარის თქმის სხვა მიზეზები*

42. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ექსტრადირებაზე უარის თქმის მიზეზები ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების მიმართაც შეიძლება იქნას გამოყენებული. მიმღებ ქვეყანას შეუძლია უარი თქვას ექსტრადირებაზე თუ იგი ჩათვლის, რომ ის დანაშაული რომლის ჩადენის გამოც ესა თუ ის ქვეყანა ითხოვს კონკრეტული პირის ექსტრადირებას პოლიტიკური ხასიათისაა („პოლიტიკური დანაშაულის გამონაკლისი“)<sup>62</sup>. 1970-იანი წლების შემდეგ, ამ მიზეზით უარის თქმის მასშტაბები საკმაოდ შეიზღუდა, რადგან ექსტრადიციის მიზნებისათვის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებებში და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში სულ უფრო მეტი დანაშაული არაპოლიტიკურად ითვლება. იგივე სიტუაცია შეინიშნება ტერორიზმთან ბრძოლის ბევრ კონვენციასა თუ პროტოკოლში. თუმცა პოლიტიკური დანაშაულის გამონაკლისის პრინციპი შესაძლებელია მაინც

---

<sup>61</sup>ექსტრადიციის შესახებ დადებული ხელშეკრულებების და ეროვნული კანონების უმრავლესობა კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილებას არ ასახელებენ იმ მიზეზებს შორის, რომლის გამოც კონკრეტული პირის ექსტრადირების შემთხვევაში იგი დევნის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, ამიტომ ამ მიზეზით ექსტრადირებაზე უარის თქმა ამგვარ ხელშეკრულებებში და კანონებში არ არის გათვალისწინებული. თუმცა შედარებით ახალ, ექსტრადიციის შესახებ შექმნილ ინსტრუმენტებში შესულ დისკრიმინაციის შესახებ დებულებებში არის გარკვეული მინიშნებები კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილების ცნების შესახებ. გარდა ამისა, დისკრიმინაციის შესახებ დებულებებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დევნილის სისხლის სამართლის დევნის ან დასჯის კონტექსტში დევნისის რისკზე და ზოგ შემთხვევაში მის მიმართ დევნისის ინსტრუმენტად „სასამართლო“ მოხსენიებული. ეს დებულებები შეიძლება არ მოქმედებდეს მაშინ, როდესაც კონკრეტულ პირს დევნის სხვა ფორმები შეიძლება დაემუქროს. ლტოლვილებისთვის და თავშესაფრის მაძიებლებისთვის არგამეცვების პრინციპს უფრო ფართო დაცვის შეთავაზება შეუძლია, რადგან იგი ეხება ნებისმიერ სახის ქმედებას, რომელიც დევნად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როცა ამ დევნის საფუძვლებს შორის მათი რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური კუთვნილება მოიაზრება. მეორეს მხრივ, დისკრიმინაციის შესახებ დებულება მხოლოდ ლტოლვილებს ან თავშესაფრის მაძიებლებს არ ეხება. მაშინ, როცა პოლიტიკური მოტივებით დევნის საშიშროება არსებობს, ექსტრადიციასაზე უარის თქმა შეიძლება მოხდეს ისეთი პირის შემთხვევაშიც, რომელიც 1951 წლის კონვენციის მიხედვით არ სარგებლობს ლტოლვილებისთვის არსებული დაცვის მექანიზმებით. იხილეთ ასევე ს. კაპფერერის „ექსტრადიციის და თავშესაფარი“, პარაგრაფები 249-252.

<sup>62</sup> მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებებში და ეროვნულ კანონმდებლობებში რეგულარულად შედიოდა დებულებები, რომელთა მიხედვითაც ექსტრადიციასაზე უარის თქმა მოხდებოდა თუ მიმღები ქვეყანა ჩათვლიდა, რომ ის დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც პიროვნება იძებნებოდა, პოლიტიკური ხასიათის იყო.

იქნას გამოყენებული ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ეროვნული კანონმდებლობა იძლევა.<sup>63</sup>

43. გარემოებებიდან გამომდინარე, ექსტრადიციაზე უარის თქმა შესაძლებელია თუ არსებობს კონკრეტული პირის სიკვდილით დასჯის საშიშროება მომთხოვნ ქვეყანაში;<sup>64</sup> ასევე, ამ მხრივ მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის ფუნდამენტური წარმოდგენები სამართლიანობის<sup>65</sup> და მიუკერძოებლობის შესახებ; ან ჰუმანიტარული მოსაზრებები.<sup>66</sup> ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიკვდილით დასჯის საშიშროება არსებობს, ექსტრადირებას მაინც შეიძლება ჰქონდეს ადგილი თუ მთხოვნელი ქვეყანა წარმოადგენს სანდო გარანტიებს იმის შესახებ, რომ იგი არ მოახდენს ძებნილის სიკვდილით დასჯას. ასეთი გარანტიები ასევე გაცივმა ხოლმე როდესაც არსებობს ეჭვები, რომ ძებნილი სამართლიანი სასამართლოს მიერ არ იქნება გასამართლებული. თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ასეთ გარანტიებს არ შეუძლიათ გადაფარონ მიმღები ქვეყნის ვალდებულება არ დააბრუნოს ლტოლვილი ან თავშესაფრის მაძიებელი ისეთ ქვეყანაში, სადაც მას დევნა, წამება ან სხვა გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება დაემუქროს, რადგან ეს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალშია აღნიშნული.<sup>67</sup>

#### *ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის სხვა მნიშვნელოვანი პრინციპები*

44. ექსტრადიციის შესახებ კონკრეტული ხელშეკრულების და/ან კანონმდებლობის ფარგლებში, ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობის სხვა პრინციპებიც შეიძლება იქნას გამოყენებული ლტოლვილების მიმართ:

- „კონკრეტული დანაშაულის“ პრინციპის მიხედვით, მომთხოვნ ქვეყანას ექსტრადირებული პირის სხვა დანაშაულებისთვის გასამართლების უფლება არ აქვს თუ ამის შესახებ მიმღები ქვეყანა სპეციალურ ნებართვას არ გასცემს.

<sup>63</sup> მაგალითად, ისეთი სახის დანაშაულები, როგორცაა დალატი, ბუნტი, *lèse-majesté*, შპიონობა, ძირგამომთხრელი პროპაგანდა, აკრძალული პოლიტიკური პარტიის დაფუძნება ან წევრობა, არჩევნების გაყალბება და ა.შ. ტრადიციულად პოლიტიკურ დანაშაულად ითვლება და, შესაბამისად, მათ ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ექსტრადიცია არ ხდება. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებულ ექსტრადირებაზე უარის თქმის ამ მიზეზის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 72-85 და 244-248. ასევე ქვემოთ იხილეთ პარაგრაფი 81.

<sup>64</sup> სულ უფრო მეტი სახელმწიფო ვალდებულია უარი თქვას ექსტრადირებაზე თუ არსებობს კონკრეტული პირის სიკვდილით დასჯის საშიშროება. ამას მათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები და/ან ეროვნულ კანონმდებლობაში შესული დებულებები ავალდებულებთ. იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 109 და 143-147

<sup>65</sup> ეს პრინციპი იმოქმედებს მაგალითად ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული პირის სამართლებლივი დევნის დროს ირღვევა *ne bis in idem*-ის პრინციპი (ანუ ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლების დაუშვებლობის პრინციპი); იგივე ეხება ეჭვმიტანილის დაუსწრებლად სასამართლო პროცესების ჩატარებას ან ე.წ. სპეციალურ სასამართლოებს. იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 107-108 და 253.

<sup>66</sup> მაგალითად კონკრეტული პირის მოხუცებულობის ან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო. იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 112 და 253.

<sup>67</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 17-20.

- ექსტრადიციის შესახებ კანონში შეიძლება იყოს შესული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს მიმღები ქვეყნის თანხმობა იმისათვის, რომ ძეგნილის მთხოვნელი ქვეყნიდან მესამე ქვეყანაში რე-ექსტრადირება განხორციელდეს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ამ პირმა სავარაუდოდ ჩაიდინა მიმღები ქვეყნიდან მის ექსტრადირებამდე.
- გარდა ამისა, ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობა მიმღებ ქვეყანას აძლევს საშუალებას მოახდინოს ძეგნილის ექსტრადირება იმ პირობით, რომ მთხოვნელ ქვეყანაში მისი გასამართლების შემდეგ იგი სასჯელის მოსახდელად დაბრუნებული იქნება მიმღებ ქვეყანაში.

45. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ეს ტრადიციული პრინციპები ძეგნილ პირებს მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს ანიჭებს. თუმცა მათი კონკრეტული და ნათლად განსაზღვრული მასშტაბებიდან გამომდინარე ისინი თავისთავად არ აძლევენ ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს წამების, დევნის ან სხვა გამოუსწორებელი ზიანის რისკისგან დაცვის საკმარის გარანტიებს. კონკრეტული პირის ექსტრადიციის შემთხვევაში მიმღები ქვეყანა ვალდებულია დაიცვას მის მიერ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი არგამევეების პრინციპი. უფრო კონკრეტულად კი არც „კონკრეტული დანაშაულის“ პრინციპი, არც მთხოვნელი ქვეყნის მიერ დადებული პირობა ძეგნილის რე-ექსტრადიციის ან ორჯერ ერთი და იგივე დანაშაულისთვის გასამართლების უარყოფის შესახებ, არ უნდა იქნას გამოყენებული ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში ან ნებისმიერ ისეთ ქვეყანაში ექსტრადირების გასამართლებლად, სადაც მას დევნა შეიძლება დაემუქროს.<sup>68</sup> როდესაც 1951 წლის 33(2)-ე მუხლით აბსოლუტურად გამართლებულია ძეგნილის ექსტრადიცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში გათვალისწინებული არგამევეების ვალდებულება მაინც ძალაშია და ექსტრადიცია მაინც შეიძლება არ შედგეს. თუ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირებას ისეთი ქვეყანა ითხოვს, რომელიც არ არის ამ პიროვნების წარმოშობის ქვეყანა, მიმღებმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს დაემუქრება თუ არა ძეგნილს ამ ქვეყანაში დევნის, წამების ან სხვა გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე.<sup>69</sup>

<sup>68</sup> გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მთხოვნელი ქვეყნის მიერ გაცემული გარანტიები იმის შესახებ, რომ „კონკრეტული დანაშაულის“ პრინციპი დაცული იქნებოდა, შეიძლება იყოს საკმარისი გარანტია იმისა, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია და კანონის უზენაესობას პატივს სცემენ, არ მოხდება კონკრეტული პირის პოლიტიკური მოტივებით დევნა, თუმცა სასამართლოს აზრით ეს ყველა შემთხვევაში ასე არ არის (1 BvR 1457/81, 1982 წლის 4 მაისი). შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ „კონკრეტული დანაშაულის“ პრინციპი და გარკვეული გარანტიები არ წარმოადგენენ ძეგნილის დევნისგან საკმარის დაცვას და რომ „კონკრეტული დანაშაულის“ პრინციპი არ შეიძლება ექსტრადიციაზე უარის თქმის ალტერნატივად ჩაითვალოს (1A.127/1990/tg, 1991 წლის 18 დეკემბერი, ამონაწერი საქმიდან №IRJL/0152, 5:2 „ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი“ (1993), გვერდები 271-273). ასევე იხილეთ საფრანგეთის Conseil d'Etat-ის 1991 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ლტოლვილად აღიარებული პირის მეორე ევროპულ ქვეყანაში ექსტრადირება გამართლებული იქნა, სხვა მიზეზებთან ერთად, იმ მოტივით, რომ ექსტრადირება მოხდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ პირის რე-ექსტრადიცია არ მოხდებოდა მისი წარმოშობის ქვეყანაში, რადგან ეს ექსტრადიციის კანონის საერთო პრინციპების დარღვევა იქნებოდა. იხილეთ ასევე ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 65-68 და 122.

<sup>69</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 26.

### III. ექსტრადიციის პროცედურები და ლტოლვილების საერთაშორისო დაცვა

#### ა. საერთო მოსაზრებები

46. ტრადიციულად ექსტრადიცია განიხილებოდა როგორც მხოლოდ სახელმწიფოებს შორის გადასაწყვეტი საკითხი და შესაბამისად ძეზნილს, რომლის ექსტრადირებასაც ითხოვდა ესა თუ ის ქვეყანა, ექსტრადირების აღსაკვეთად მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დარღვევაზე აპელირება შეეძლო. ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში შესული ცვლილებების შედეგად ექსტრადიციის პროცესში ამგვარი პირების მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. გასაგებია, რომ მიმღები ქვეყნის მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული პირისთვის, რომლის ექსტრადირებასაც ითხოვს ესა თუ ის ქვეყანა. პოტენციული შედეგების გათვალისწინებით საჭიროა არსებობდეს პროცედურული გარანტიები, რათა ექსტრადირების პროცესში ძეზნილთან დაკავშირებული ყველა გარემოება და მის მომთხოვნ ქვეყანაში ექსტრადირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი იქნას გათვალისწინებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში, რადგან მათთვის მომთხოვნ ქვეყანაში ექსტრადიცია შეიძლება დევნას გულისხმობდეს.
47. მიმღები ქვეყნის მიერ ექსტრადიციის პროცესში კონკრეტული პირის ფუნდამენტური უფლებების დარღვევისგან დაცვის ადეკვატური და ეფექტური გარანტიების ჩადების ვალდებულება სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაშია ასახული. თუმცა ძეზნილების პროცედურული უფლებები სხვადასხვა ქვეყნებში ძალზედ განსხვავებულია.<sup>70</sup>
48. ექსტრადიციის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში ჩვეულებრივ არ შედის დებულებები ექსტრადიციის მოთხოვნის შემოწმების პროცედურების შესახებ. ჩვეულებრივ ეს პროცედურა მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში განისაზღვრება; გარდა ამისა, ამ პროცედურას განსაზღვრავენ ის სახელისუფლებო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გაარკვიონ შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის შესახებ წამოყენებული მოთხოვნა ფორმალურ და არსებულ სტანდარტებს და/ან გადაწყვიტონ დააკმაყოფილონ თუ არა ეს მოთხოვნა. ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ჩამოყალიბებული პროცედურები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით თუ რა სამართლებრივი სისტემა მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყანაში. თუმცა ბევრ ქვეყანაში ექსტრადიციის პროცესი მოიცავს რამოდენიმე ეტაპს და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს, მათ შორის:

<sup>70</sup> იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 170-175.

- (i) საწყისი ადმინისტრაციული ფაზა, რომელიც ჩვეულებრივ შედგება ტექნიკური მოთხოვნების შემოწმებისგან;<sup>71</sup> ხანდახან ამ ეტაპზე ასევე ხდება ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის წინასწარი შეფასება, რომელსაც მოჰყვება
- (ii) სასამართლოს მიერ იმის დადგენა შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაში და/ან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებაში არსებულ პირობებს, და
- (iii) ექსტრადიციის მოთხოვნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ქვეყნების უმეტესობაში კომპეტენტური სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება იმაზე, რომ ექსტრადიციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო სამართლებრივი მოთხოვნები არ არის შესრულებული, სავალდებულოა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, და, შესაბამისად, ექსტრადიცია არ ხდება. მაშინ, როდესაც სასამართლო ექსტრადიციის ნებართვას იძლევა შესაბამის მინისტრს აქვს უფლება გადასცეს ძებნილი მთხოვნელ ქვეყანას (შესაძლებელია გარკვეული პირობებით) ან უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე.<sup>72</sup>

49. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში არ არის კონკრეტულად დადგენილი ექსტრადიციის პორცესის ის ეტაპები, რომლის დროსაც ძებნილის ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის გათვალისწინება უნდა მოხდეს. ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა უკრძალავს მიმღები ქვეყნის ხელისუფლებას გააგრძელოს ექსტრადირების პროცესი თუ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირებას მისი წარმოშობის ქვეყანა ითხოვს<sup>73</sup>. ზოგ ქვეყანაში ექსტრადიციის მოთხოვნა შეიძლება

<sup>71</sup> ეს, ჩვეულებრივ, გულისხმობს შემდეგს: არის თუ არა ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა გაგზავნილი შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს სახელზე; შესაბამისი წესით არის თუ არა იგი ხელმოწერილი; მოიცავს თუ არა მოთხოვნა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ძებნილის და იმ დანაშაულების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც მას ბრალდება; თან ახლავს თუ არა აღნიშნულ მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით და/ან მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

<sup>72</sup> სხვა ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობა ორეტაპიან პროცესს გულისხმობს, ზოგ ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ სასამართლოები, ხოლო ზოგ ქვეყანაში სასამართლო ორგანოები არასავალდებულო დადგენილებებს იღებენ. ექსტრადიციის შესახებ ზოგიერთი ხელშეკრულება უფრო მარტივ პროცედურებს ითვალისწინებს, რომელთა მიზანია ამ პროცესის დაჩქარება და ხარჯების შემცირება. ევროკავშირში 2004 წელს ე.წ. ორმხრივ შეთანხმებაზე დაფუძნებული დაპატიმრების ორდერების სისტემა იქნა შემოღებული, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ექსტრადიციის პროცედურები იქნა ჩანაცვლებული (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: [http://ec.europa.eu/justice\\_home/fsj/criminal/extradition/fsj\\_criminal\\_extradition\\_en.htm](http://ec.europa.eu/justice_home/fsj/criminal/extradition/fsj_criminal_extradition_en.htm)). ექსტრადიციის პროცედურების უფრო დეტალური მიმოხილვა მოცემულია ს. კაპფერერის „ექსტრადიციასა და თავშესაფარში“, პარაგრაფები 155-169.

<sup>73</sup> ასე ხდება, მაგალითად, არგენტინაში (დანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ №24.767 1997 წლის კანონის მე-20 ნაწილის მიხედვით), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3db93d784>; ბრაზილიაში (1951 წლის კონვენციის განხორციელების მექანიზმებზე 1997 წლის №9.474 კანონის 33-ე ნაწილის მიხედვით), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3f4dfb134>; და პარაგვაიში (ლტოლვილების შესახებ 2002 წლის №



თავიდანვე იქნას უარყოფილი თუ კომპეტენტური ორგანოებისთვის ცნობილია, რომ ძეგნილი მისი ლტოლვილის სტატუსის გამო არ შეიძლება იქნას ექსტრადირებული. თუმცა, მთლიანობაში, დევნის ან სხვა სერიოზული ზიანის რისკების განხილვა ექსტრადიციის პროცესის სასამართლოს და/ან საბოლოო ეტაპებზე ხდება.

50. ზუსტად ასევე, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი არ მოიცავს რაიმე კონკრეტულ პროცედურებს, რომელთა ფარგლებში ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის განხილვა უნდა მოხდეს. თუმცა, მიმღები ქვეყნის საერთაშორისო დაცვის ვალდებულებებიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული პროცედურული წესები, რომლებიც ექსტრადიციის პროცესში გამოიყენება. წინამდებარე სახელმძღვანელოს შემდგომ ნაწილებში განხილულია ის გარანტიები, რომლებიც უნდა არსებობდეს ექსტრადიციის პროცესში, იმისათვის, რომ მიმღებმა ქვეყანამ ზემოხსენებული ვალდებულებები შეასრულოს (მაშინ, როდესაც საქმე ეხება ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციას); სახელმძღვანელოს ამ ნაწილებში მოცემულია UNHCR-ის შეხედულებები ექსტრადიციასა და თავშესაფრის პროცედურებს შორის სწორი ბალანსის შესახებ.<sup>74</sup>

## **ბ. ექსტრადიციის პროცედურები ლტოლვილების მიმართ**

51. ლტოლვილის ექსტრადიციის მოთხოვნისას საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით მთავარ პრობლემას წარმოადგენს არგამეგების პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა. ქვემოთ მოცემული 52-56-ე პარაგრაფები ექსტრადიციის პროცესში შესაბამის გარანტიებს განიხილავს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ექსტრადიციის პროცესში, სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლისას, ქვეყნებმა ლტოლვილების კონფიდენციალურობის დაცვის კანონიერი მოთხოვნა შეასრულონ, ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ლტოლვილებთან დაკავშირებული პირების დაცვის აუცილებლობა. ეს საკითხები ქვემოთ, 57-58-ე პარაგრაფებშია განხილული.

### **1. გარანტიები არგამეგების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად**

*მიმღები ქვეყნის მიერ ლტოლვილად აღიარებული პირის ექსტრადიციის მოთხოვნა*

52. როდესაც, 1951 წლის კონვენციის ფარგლებში მიმღებ ქვეყანაში ლტოლვილად აღიარებული პირის ექსტრადიციას მისი წარმოშობის ქვეყანა ითხოვს, UNHCR-ის აზრით, თავშესაფრის მიმცემი ორგანოების გადაწყვეტილება პირის

---

1938 კანონის მე-7 ნაწილის მიხედვით), რომლის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3d48f0984>.

<sup>74</sup> იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარის“ 170-210-ე პარაგრაფები, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია კონკრეტული პირების მდგომარეობაზე ექსტრადიციის პროცესში. ამ პარაგრაფებში ასევე საუბარია ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ დებულებებზე, რომელთა მიხედვით ექსტრადიციის მოთხოვნის განხილვისას საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები უნდა იქნას გათვალისწინებული.

ლტოლვილად ცნობის შესახებ უპირველესი მნიშვნელობის უნდა იყოს იმ სახელმწიფო ორგანოებისთვის და ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ექსტრადიციის საკითხზე მუშაობენ<sup>75</sup>. ასეთ შემთხვევებში, მიმღები ქვეყნის თავშესაფრის მიმცემი ორგანოები აღიარებენ, რომ ძებნილს მთხოვნელ ქვეყანაში შეიძლება დაემუქროს დევნა.<sup>76</sup> ეს იმასაც ნიშნავს, რომ ლტოლვილის ექსტრადიციის აკრძალვა 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლის და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ფარგლებში უკვე ამოქმედებულია. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ექსტრადიციის განმახორციელებელ ორგანოებს შეიძლება დასჭირდეთ იმის დადგენა შეიძლება თუ არა ძებნილის მიმართ არგამეცების პრინციპთან დაკავშირებით მოქმედი 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენება. თუ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ექსტრადიციის პროცესის ფარგლებში ხდება, შესაბამისმა ორგანომ ძებნილი პირის სიტუაცია 33(2)-ე მუხლში არსებული კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეაფასონ, ხოლო ექსტრადიციის პროცედურებში გათვალისწინებული უნდა იქნას პროცედურული გარანტიები, რომლებიც ამ დებულების განხორციელებისას აუცილებელია.<sup>77</sup>

53. თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ექსტრადიციის განმახორციელებელი ორგანოებისთვის თავშესაფრის მიმცემი ორგანოების მიერ კონკრეტული ძებნილისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება სავალდებულოდ გასათვალისწინებელი გარემოება არ არის. ასეთი სიტუაციის მიუხედავად, მიმღები ქვეყანა ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ მის მიერ ლტოლვილის ექტრადირება არ არღვევს მის მიერვე ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებას არგამეცების შესახებ.<sup>78</sup> იმ დროს, როდესაც ძებნილი უკვე აღიარებულია ლტოლვილად, ექსტრადიციის საკითხის გადამწყვეტმა ორგანომ 1951 წლის კონვენციის 33(1)-ე მუხლით და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული დებულებები უნდა

<sup>75</sup> ასეა მაგალითად შვეიცარიის თავშესაფრის მიმცემი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში (იხილეთ შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის 1989 წლის 13 მარტის BGE 115 V 4 გადაწყვეტილება (მე-6-7 თავები) და 2005 წლის 14 დეკემბერს მიღებული 1A.267/2005/gij გადაწყვეტილება (მე-3.3 თავი), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b64bc>; ასევე იხილეთ საფრანგეთში *Commission de recours des réfugiés*-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (იხილეთ „*Conseil d'Etat*“, 1988 წლის 25 მარტი, „ბერეკიარტუა-ეკარ“-ი, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae6b7264>).

<sup>76</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 25.

<sup>77</sup> 1951 წლის კონვენციის 33(2)-ე მუხლის გამოყენების პროცედურებთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 15.

<sup>78</sup> მაგალითად, გერმანიაში, თავშესაფრის მიცემის პროცედურების აქტის მე-4 ნაწილის მიხედვით თავშესაფრის მიმცემი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექსტრადიციის პროცესში არ არის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი. თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ექსტრადიციის საკითხის განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მთხოვნელ ქვეყანაში დევნის შესაძლებლობა და გერმანიის ან სხვა ქვეყნის ხელისუფლების მიერ ადამიანის ლტოლვილად აღიარება უნდა იქნას განხილული დევნის საშიშროების მტკიცებულებად (1979 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება № 1 BvR 654/79).



გაითვალისწინოს, რომელთა მიხედვით დაუშვებელია ადამიანის ისეთ ქვეყანაში გაძევება, სადაც მას დევნა შეიძლება დაემუქროს. ამისათვის ექსტრადიციის განმახორციელებელმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ კონკრეტული საქმის ყველა გარემოება იმისათვის, რომ გაირკვეს არსებობს თუ არა ძეზნილის დევნის საშიშროება მთხოვნელ ქვეყანაში, ჩატარებული სასამართლოს შემდეგ და/ან სასჯელის აღსრულების პერიოდში. იგივე პირობები მოქმედებს მაშინაც, როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნა მოდის იმ ქვეყნიდან, რომელიც არ არის ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანა.<sup>79</sup> თუ კონკრეტული საქმის გარემოებები 1951 წლის 33(2)-ე მუხლის გამოყენების საკითხის დასმის საშუალებას იძლევა, მაშინ ექსტრადიციის პროცესში სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ დებულების კრიტერიუმები, ისევე, როგორც პროცედურების სრული სამართლიანობის პრინციპი.<sup>80</sup>

54. მიუხედავად იმისა, არის თუ არა თავშესაფრის მიცემის საკითხზე პასუხისმგებელი ორგანოების გადაწყვეტილება კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე სავალდებულო გასათვალისწინებელი ექსტრადიციის საკითხებზე მომუშავე ორგანოებისთვის, მიმღებმა ქვეყანამ ყველა შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს არგამეგების ვალდებულების შესრულება, რომელიც მას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში აქვს ნაკისრი.<sup>81</sup>

*ისეთი პიროვნების ექსტრადიციის მოთხოვნა, რომელიც ლტოლვილად აღიარებულია არა მიმღები ქვეყნის მიერ*

55. ისეთი პირის შემთხვევაში, რომელიც ლტოლვილად აღიარებულია მესამე ქვეყნის მიერ (და არა მიმღები ქვეყნის მიერ), ძეზნილი პირის მიერ ამ მესამე ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით სარგებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მიმღები ქვეყნის ექსტრადიციის პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, როდესაც ისინი არკვევენ თუ რამდენად შეესაბამება ამ პირის ექსტრადირება არგამეგების პრინციპს. რომელიმე სახელმწიფოს მიერ 1951 წლის კონვენციის ფარგლებში კონკრეტული პირის ლტოლვილად აღიარებას საერთაშორისო ეფექტი გააჩნია და ამ შემთხვევაში სულ ცოტა 1951 წლის კონვენციის სხვა მონაწილეების მიმართ პატივისცემის საკითხი დგება. ერთი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პირის ლტოლვილად აღიარების მართებულობა მეორე სახელმწიფოს მიერ ეჭვქვეშ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დადგეს, ანუ მაშინ, როდესაც ეს პირი აშკარად არღვევს 1951 წლის კონვენციის მოთხოვნებს. მაგალითად, ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც აღმოჩნდება, რომ აღნიშნულმა პირმა

<sup>79</sup> ამგვარ შემთხვევებში, ექსტრადიციის პროცესის ფარგლებში, კონკრეტულ პირს ადეკვატური პროცედურული გარანტიები უნდა ჰქონდეს. ამ გარანტიებში იგულისხმება ძეზნილის მიერ ექსტრადიციის განმახორციელებელი ორგანოებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების საშუალება, რომელიც დაადასტურებს მთხოვნელ ქვეყანაში მისი ექსტრადირების შემთხვევაში მის მიმართ დევნის განხორციელების საშიშროებას; მას ასევე უნდა შეეძლოს იმ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომლის მიხედვითაც მის მიმართ არგამეგების პრინციპის გამოყენება შეუძლებელია.

<sup>80</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 15.

<sup>81</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 16-20.

თავდაპირველად ცრუ განცხადებების საფუძველზე მოიპოვა ლტოლვილის სტატუსი, ან როდესაც არსებობს გარკვეული გარემოებები, რომელთა გამოც, კონკრეტულ პიროვნებას, 1951 წლის კონვენციის ფარგლებში, ლტოლვილის სტატუსი არ ეკუთვნის.<sup>82</sup>

### *UNHCR-ს მიერ ლტოლვილად აღიარებული პირის ექსტრადიციის მოთხოვნა*

56. მაშინ, როდესაც UNHCR-ის მიერ (საკუთარი საერთაშორისო დაცვის მანდატის ფარგლებში<sup>83</sup>) ლტოლვილად აღიარებული პირის ექსტრადიციის საკითხი ისმევა მიმღებმა ქვეყანამ UNHCR-ის ამ გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს. UNHCR-ის მიერ კონკრეტული პირის ლტოლვილად აღიარება ნიშნავს იმას, რომ UNHCR-ის აზრით და 1951 წლის კონვენციის სტანდარტების მიხედვით ამ პირს სჭირდება ან ეკუთვნის საერთაშორისო დაცვის გარანტიები. UNHCR-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის და კონკრეტულად 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის და 1967 წლის პროტოკოლის 1-ლი მუხლის, ისევე, როგორც 1950 წლის UNHCR-ის წესდების მე-8(ა) პარაგრაფში აღნიშნული UNHCR-ის საზედამხედველო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ამგვარი გადაწყვეტილებები ექსტრადიციის პროცესში შესაბამისი ხარისხით უნდა იქნას გათვალისწინებული.<sup>84</sup>

<sup>82</sup> იხილეთ UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის „დასკვნა №12 (XXIX) – 1978 წელი, რომელიც ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრაზე მიღებული გადაწყვეტილების ექსტერიტორიალურ მნიშვნელობას ეხება“, პარაგრაფი (ზ), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c4447>. ასევე იხილეთ UNHCR-ის „შენიშვნები ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრაზე მიღებული გადაწყვეტილების ექსტერიტორიალური მნიშვნელობის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის პროტოკოლის ფარგლებში“ EC/SCP/9, 1978 წლის 24 აგვისტო, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68cccc>. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია 1951 წლის კონვენციის ხელმომწერი სხვა ქვეყნის მიერ კონკრეტული პირის ლტოლვილად აღიარება არანაირ ვალდებულებებს არ აკისრებს გერმანიის ექსტრადიციის პასუხისმგებელ ორგანოებს, მაგრამ თუ ექსტრადიციის საკითხის განმხილველი სასამართლო არ დაუკავშირდება იმ ქვეყნის შესაბამის ორგანოებს, რომლებმაც კონკრეტული ძებნილი ლტოლვილად ცნეს და მათგან არ მიიღეს შესაბამის ინფორმაციას, მაშინ ჩაითვლება, რომ ექსტრადიციის საკითხის განმხილველმა სასამართლომ არ შეასრულა მისი მოვალეობა, რომლის მიხედვითაც მას უნდა ჩაეტარებინა ყოველმხრივი კვლევა, რათა დაედგინა ემუქრება თუ არა ექსტრადირების შემთხვევაში ძებნილს დევნა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, 1951 წლის კონვენციის რომელიმე ხელმომწერი ქვეყნის მიერ კონკრეტული ძებნილის ლტოლვილად აღიარების ფაქტი მნიშვნელოვანი დეტალია (რადგან ეს ქვეყანა მიიჩნევს, რომ ძებნილს მთხოვნელ ქვეყანაში დევნის საშიშროება ელოდება), ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოებაა იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყანას ადრე უკვე უთქვამს მთხოვნელი ქვეყნისთვის ამ კონკრეტული ძებნილის (იგივე დანაშაულისთვის ექსტრადიციის მოთხოვნის დროს) გადაცემაზე უარი და ეს უარი დაფუძნებული იყო სწორედ ამ ძებნილის ლტოლვილის სტატუსზე (1979 წლის 14 ნოემბრის 1 BvR 654/79 გადაწყვეტილება). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს, რომელმაც ძებნილი ლტოლვილად აღიარა, შეუძლია ამ პირის დიპლომატიური დაცვა მოახდინოს.

<sup>83</sup> საკუთარი საერთაშორისო დაცვის მანდატის ფარგლებში UNHCR-ს შეუძლია გადაწყვიტოს კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი, როდესაც ეს ამ პირის დაცვისთვის აუცილებელია. UNHCR-ის ეს უფლება დაფუძნებულია მის 1950 წლის წესდებაზე, რომელიც შემდგომში გაფართოებული და დახვეწილი იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციებით.

<sup>84</sup> იხილეთ გ.ს. გუდვინ-გილის და ჯ. მაკადამის „ლტოლვილი საერთაშორისო სამართლის კონტექსტში“, მე-3 გამოცემა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა (2007 წელი), პარაგრაფი 553 „... ცნება

## 2. კონფიდენციალურობა

57. UNHCR-ის აზრით, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მეორე ქვეყნის ხელისუფლებისთვის გამხელისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირი თავად აცხადებს თანხმობას ამ ინფორმაციის გაზიარებაზე. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანას, ამ ინფორმაციაში შეიძლება შედიოდეს პერსონალური მონაცემები ლტოლვილის შესახებ, მის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე გაკეთებული განცხადების დეტალები, მათ შორის, თავად ასეთი განცხადების გაკეთების ფაქტი. ამგვარი ინფორმაციის (ან საჭიროზე მეტი ინფორმაციის) შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის გარეშე გამხელა ლტოლვილის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად ჩაითვლება.<sup>85</sup> ამგვარმა ქმედებამ, ასევე, შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ლტოლვილი და მასთან დაკავშირებული პირები.<sup>86</sup>

58. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ კონკრეტული პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მათ მიერ ჩატარებულ ნებისმიერ საქმიანობაში, რომლის შედეგად ლტოლვილის ექსტრადირება შეიძლება მოხდეს. ასეთ შემთხვევებში, მოთხოვნილი ქვეყნის ლეგიტიმური ინტერესი რომ მოახდინოს დანაშაულში ბრალდებული პირის სისხლის სამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი გარკვეული სახის პერსონალური ინფორმაციის

---

„ლტოლვილის“ განსაზღვრება... შეიძლება იქნას სხვადასხვანაირად ინტერპრეტირებული, ამიტომ UNHCR-ის პოზიცია ინდივიდუალურ პირებთან და ჯგუფებთან დაკავშირებით შეიძლება იქნას ექვეყნებში დაყენებული. მიუხედავად ამისა... UNHCR-ის მოსაზრებები გათვალისწინებული უნდა იქნას იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც არ ეთანხმებიან UNHCR-ის გადაწყვეტილებას; თითოეული სახელმწიფოს მიერ UNHCR-ის გადაწყვეტილების უარყოფა შესაბამისად უნდა იქნას დასაბუთებული“. იხილეთ ასევე ვ. ტურკის „UNHCR-ის საზედამხედველო პასუხისმგებლობა“, 14.1 „*Revue québécoise de droit international*“ (2001 წელი), პარაგრაფები 135-158.

<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების და პრივატულობის ხელშეუხებლობის უფლებას ყველასათვის, აღნიშნული კანონმდებლობა იცავს ადამიანს მის პირად ცხოვრებაში ერთპიროვნული და უკანონო ჩარევისგან (იხილეთ მაგალითად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მე-17(1) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-11 მუხლი).

<sup>86</sup> უნდა იქნას მიღებული ეფექტური ზომები, რათა კონკრეტული პირის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია არ მოხვდეს მესამე მხარის ხელში, რადგან ამ მხარეს ამ ინფორმაციის გამოყენება ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის დარღვევით შეუძლია მოახდინოს. იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის „საერთო კომენტარი №16: მე-17 მუხლი (პირადი ცხოვრების უფლება), პირადი ცხოვრების, ოჯახის, სახლის და მიმოწერის დაცვის უფლება და ღირსების და რეპუტაციის დაცვა“, გაეროს დოკუმენტი HRI/GEN/1/Rev.1, 1988 წლის 8 აპრილი, პარაგრაფი 10, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=453883f922>, იხილეთ ასევე UNHCR-ის „რჩევები თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის წესების შესახებ“, 2005 წლის 31 მარტი, (რომელიც, შემდგომში, მოხსენიებული იქნება როგორც „UNHCR-ის რჩევები კონფიდენციალურობის წესების შესახებ“) ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=42b9190e4>. ასევე იხილეთ ქვემოთ პარაგრაფები 69, 93 და 96.

გამხელისთვის. თუმცა, იმ დროს, როცა ძებნილის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაზიარება ხდება მთხოვნელი ქვეყნისთვის, მიმღებმა ქვეყანამ ამ ძებნილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი უნდა გაითვალისწინოს, განსაკუთრებით ეს ეხება ლტოლვილის წარმოშობის ქვეყნისთვის ინფორმაციის გაზიარებას.<sup>87</sup> ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებთან და მონაცემების დაცვის საერთო პრინციპებთან შესაბამისად მიმღებ ქვეყანას შეიძლება აეკრძალოს მთხოვნელი სახელმწიფოსთვის რაიმე სახის პერსონალური და/ან სხვა სახის მონაცემების გადაცემა, შესაძლებელია ასევე გასაცემი ინფორმაციის განსაზღვრა (გააჩნია გარემოებებს).<sup>88</sup> კონფიდენციალურობის პრინციპი ექსტრადიციის პროცესის ყველა ეტაპზე უნდა იქნას დაცული, მაშინაც კი, როდესაც მთხოვნელ ქვეყანას ეცნობება ექსტრადიციის უარის თქმის მიზეზები (მაშინ, როდესაც ძებნილი ლტოლვილია). UNHCR-ის აზრით, ექსტრადიციის პროცედურების აღსრულებისას თავშესაფრის მიცემაზე პასუხისმგებელი ორგანოების ჩართვა ლტოლვილის შესახებ ინფორმაციის გამხელა-არგამხელის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ძებნილის საერთაშორისო დაცვის გარანტიები საკმარისად იქნას დაცული.<sup>89</sup>

## გ. ექსტრადიციის პროცედურები თავშესაფრის მაძიებლების მიმართ

<sup>87</sup> UNHCR-ი აცნობიერებს, რომ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა ძალზედ მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის დროს და წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებასთან ინფორმაციის გაზიარება გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იქნას გამართლებული მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვი წარსულ ან მიმდინარე ტერორისტულ საქმიანობაზე ან როდესაც ეროვნული უსაფრთხოება საფრთხის ქვეშაა. თუმცა ყველა ამ შემთხვევაში თავშესაფრის თხოვნის ფაქტი არ უნდა გახმაურდეს. იხილეთ UNHCR-ის „უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება ლტოლვილთა დაცვის გარანტიების შესუსტების გარეშე - UNHCR-ის თვალსაზრისი“, 2001 წლის ნოემბერი, პარაგრაფი 11, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3c0b880e0>. ასევე იხილეთ UNHCR-ის „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ №5: ლტოლვილის სტატუსის გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, რომელიც ლტოლვილთა სტატუსს ეხება“, HCR/GIP/03/05, 2003 წლის 4 სექტემბერი, დანართი ე, (შემდგომში ეს ნაშრომი მოხსენიებული იქნება როგორც „სახელმძღვანელო პრინციპები გამორიცხვის შესახებ“), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3f5857684>.

<sup>88</sup> მონაცემების დაცვის საერთო პრინციპების თანახმად, ინფორმაციის ნებისმიერი გაზიარება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია იმ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რომლის გამოც ინფორმაციის მოთხოვნა მოხდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმღები ქვეყნის სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს შორის კომუნიკაციაც ექვემდებარება მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპებს, შესაბამისად, ინფორმაციის ოდენობა და სახეობა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება იქნას გაზიარებული, ასევე იზღუდება.

<sup>89</sup> პროცედურები, რომელთა მიხედვით კონკრეტული ინფორმაციის გახმაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება თავშესაფრის მიცემის საკითხზე მომუშავე ორგანოს ეკისრება, ყველაზე კარგ პრაქტიკად არის მიჩნეული. ასეა მაგალითად შვეიცარიაში, სადაც ფედერალურ პოლიციას ევალება თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე ფედერალური ოფისის გადაწყვეტილების გათვალისწინება მაშინ, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება ლტოლვილს ან თავშესაფრის მაძიებელს, მათ შორის, ექსტრადიციის პროცესის და მასთან დაკავშირებული საკითხების კონტექსტში (მაგალითად ინტერპოლის მიერ გავრცელებული დაპატიმრების ორდერები „ძებნილია პოლიციის მიერ“).

59. როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნა თავშესაფრის მაძიებელს ეხება მიმღებმა ქვეყანამ არა მხოლოდ უნდა დაიცვას არგამეცხვის პრინციპი (ისე, როგორც ეს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებშია მოთხოვნილი), არამედ მან ასევე უნდა უზრუნველყოს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის 1951 წლის კონვენციის სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით განხილვა. ექსტრადიციის პროცესში გამოვლენილ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა თავშესაფრის თხოვნის განხილვაზე, ამავე დროს, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება არმინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მიმღებმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

60. ექსტრადიციასთან და თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებული საკითხების ურთიერთგადაკვეთას პროცედურული შედეგები აქვს. ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში განხილულია ექსტრადიციასთან და თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს შორის ურთიერთქმედება, მათ შორის, ორივე პროცედურის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების იერარქია ისევე, როგორც ის გარანტიები, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლებისთვის უნდა არსებობდეს ექსტრადიციის პროცედურების განხორციელებისას. ქვემოთ ასევე განხილულია UNHCR-ის როლი ამ პროცედურებში. თავშესაფრის მიცემის პროცესში ექსტრადიციის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები განხილულია IV.ბ.2 განყოფილებაში.

## 1. ექსტრადიციის და თავშესაფრის მიღების პროცედურების განცალკევება

61. ექსტრადიცია და ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა არის ორი განსხვავებული პროცედურა, რომლებსაც განსხვავებული მიზნები აქვთ და რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივი კრიტერიუმებით იმართება. ორივე სფეროში მოღვაწე გადაწყვეტილებების მიმღებებს უნდა ჰქონდეთ სპეციფიკური ცოდნა, გამოცდილება და უნარები. იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიციის პროცედურაში გათვალისწინებულია იმის დადგენა გააჩნია თუ არა ძებნილს საფუძვლიანი შიში, რომ იგი მთხოვნელ ქვეყანაში დევნის მსხვერპლი გახდება, მაშინ ამას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს თავშესაფრის მაძიებლის განცხადების განხილვის შესაძლებლობა. ამის შედეგად, ასევე შეიძლება შეიზღუდოს ის სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული. ამიტომ UNHCR-ის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ თავშესაფრის მინიჭების და ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილებები ცალ-ცალკე პროცედურების მეშვეობით უნდა იქნას მიღებული.

62. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთისგან სრულ იზოლაციაში უნდა წარიმართოს. როგორც ეს წინამდებარე სახელმძღვანელოშია აღნიშნული, ძებნილის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღება-არმიღებას



დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნის მხრიდან ძეგნილის მიმართ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არსებული ვალდებულებების განსაზღვრისათვის (აქ იგულისხმება ამ ძეგნილის ექსტრადიციაზე გადაწყვეტილების მიღება). ამავე დროს, ექსტრადიციის მოთხოვნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ზეგავლენა ლტოლვილის სტატუსის მინიჭება-არმინიჭებაზე. იმისათვის, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების და ექსტრადიციის პროცედურის თაობაზე სწორი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, შესაბამისმა ორგანოებმა საქმესთან დაკავშირებული ყველა ელემენტი უნდა გაითვალისწინონ.

## 1. თავშესაფრის თხოვნაზე მიმღები ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღება

63. იმისათვის, რომ კონკრეტული პირის საერთაშორისო დაცვის საჭიროებების გადაწყვეტა 1951 წლის კონვენციის კრიტერიუმების შესაბამისად მოხდეს, თავშესაფრის მოთხოვნა იმ ორგანოს მიერ უნდა იქნას განხილული, რომელიც მიმღებ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე გადაწყვეტილებებს იღებს<sup>90</sup>. თავშესაფრის მიცემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაბამისი ფაქტი, მათ შორის ექსტრადიციის მოთხოვნა და ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამაც აპლიკანტისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება-არმინიჭებაზე შეიძლება იქონიოს ზეგავლენა.<sup>91</sup>

## 2. ექსტრადიციის და თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილებების იერარქია

*ექსტრადიციის მოთხოვნა თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნიდან*

64. თუ ექსტრადიციის მოთხოვნა მომდინარეობს თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნიდან, მიმღებმა ქვეყანამ თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმისათვის, რომ შეემდოს გადაწყვეტოს რამდენად კანონიერი იქნება ამ პირის წარმოშობის ქვეყანაში ექსტრადირება. ეს აუცილებელია მიმღები ქვეყნის მიერ არგამევეების პრინციპის დასაცავად, რომელიც მან ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში უნდა აღასრულოს. ერთის მხრივ, როგორც თავშესაფრის მაძიებელი, ძეგნილი სარგებლობს არგამევეების პრინციპით გარანტირებული დაცვით, რის შედეგადაც მისი ექსტრადირება წარმოშობის ქვეყანაში აკრძალულია მანამ, სანამ მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიიღება (მათ შორის აპელაციის ეტაპზე); მაგრამ, მეორეს მხრივ, მიმღები ქვეყნის მიერ

<sup>90</sup> ამ შემთხვევაში, საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია ერთი ცენტრალური ორგანოს არსებობა, რომელიც თავშესაფრის საკითხებზე გადაწყვეტილებებს მიიღებს, ასევე სასურველია ყველა თავშესაფრის ან დამატებითი დაცვის მაძიებლის განცხადების განხილვის ერთი პროცედურის არსებობა. იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცესები“, პარაგრაფები 48 და 50 (ე) და (ი).

<sup>91</sup> იხილეთ ასევე ზემოთ პარაგრაფი 62 და ქვემოთ პარაგრაფები 73-85.

არგამევეების ვალდებულების მასშტაბი განსხვავებულია იმისდა მიხედვით არის თუ არა კონკრეტული პირი ლტოლვილი. ამიტომ კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, რათა გაირკვეს, ბოლომდე სრულდება თუ არა ყველა სამართლებრივი მოთხოვნა ექსტრადიციის პროცესში.

65. შედეგად, ისეთი საქმეების დროს, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში ექსტრადირებით შეიძლება დასრულდეს, პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული მანამ, სანამ ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

66. UNHCR-ის აზრით, საერთოდ სასურველია, რომ ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის და ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი პარალელურად ჩატარდეს, ეს ამ პროცესების ეფექტურობის ხარისხს გაზრდის, გარდა ამისა, ექსტრადიციის პროცესის დროს ისეთი ინფორმაცია შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი, რომელსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ძებნილისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცესზე, რაც შესაბამისმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.<sup>92</sup> თუმცა შესაძლებელია საჭირო გახდეს ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გადადება მანამ, სანამ ძებნილისთვის ლტოლვილის სტატუსის დადგენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.<sup>93</sup>

*ექსტრადიციის მოთხოვნა ისეთი სახელმწიფოსგან, რომელიც არ არის თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანა*

67. თუ თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციას ითხოვს არა მისი წარმოშობის ქვეყანა, მაშინ, გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირება მანამ, სანამ მიმღები ქვეყნის მიერ მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. იმისათვის, რომ ამ დროს არ დაირღვეს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მიმღებმა ქვეყანამ უნდა:

(i) დაადგინოს, რომ მოთხოვნელ ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირების შემთხვევაში მას დევნის, წამების ან სხვა გამოუსწორებელი ზიანის საფრთხე არ დაემუქრება, და

<sup>92</sup> იხილეთ ქვემოთ პარაგრაფები 71-85 სადაც განხილულია ექსტრადიციის კონტექსტში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

<sup>93</sup> ეს ასახულია მაგალითად შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, რომელმაც დაადგინა, რომ როდესაც თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, ძებნილის ექსტრადიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს თუ იგი შესაბამისი ორგანოებისგან ლტოლვილის სტატუსს არ მიიღებს (იხილეთ 1996 წლის 11 სექტემბრის BGE 122 II 373 გადაწყვეტილება, გვერდები 380-382 და 2005 წლის 14 დეკემბრის 1A.267/2005/გჟ გადაწყვეტილება, 3.2).

(ii) უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებთან ხელმისაწვდომობა, რადგან ეს 1951 წლის კონვენციის კრიტერიუმებით და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამართლიანობის და ეფექტურობის სტანდარტებით არის მოთხოვნილი.

68. თუ ორივე პირობა შესრულებულია მიმღებ ქვეყანაში დაწყებული ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცესი შეიძლება იქნას შეჩერებული.<sup>94</sup> ასეთ შემთხვევებში ლტოლვილის სტატუსის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი განახლდება და საბოლოო გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული მას შემდეგ, რაც სამართლებრივი პროცესის შედეგად, ძეზნილს კონკრეტული სასჯელი მიესჯება ან მის წინააღმდეგ არსებული ყველა ბრალდება მოიხსნება. ეს პროცესი შეიძლება ჩატარდეს ან იმ ქვეყანაში სადაც ლტოლვილის სტატუსი თავიდან იქნა მოთხოვნილი (ამ ქვეყანაში კონკრეტული პირის გაგზავნის შედეგად) ან ექსტრადიციის მომთხოვნ ქვეყანაში (იმ შემთხვევაში თუ ამ სახელმწიფოში მსგავსი პროცედურული სტანდარტები მოქმედებს).<sup>95</sup>

### 3. კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის პროცესში

69. როდესაც საქმე ეხება თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის მოთხოვნას შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ კონფიდენციალურობის დაცვა. ჩვეულებრივ, თავშესაფრის თხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან თავად ასეთი თხოვნის გაკეთების ფაქტი არ უნდა იქნას გაზიარებული არც მთხოვნელი ქვეყნის, არც თავშესაფრის მაძიებლის წარმომობის ქვეყნის და არც მესამე სახელმწიფოს ორგანოებთან. ამ ნაშრომის 57-58-ე პარაგრაფებში ლტოლვილების შესახებ მოცემული დებულებები სრულად ვრცელდება თავშესაფრის მაძიებელზეც.<sup>96</sup>

## დ. UNHCR-ის როლი ექსტრადიციის დროს

70. იმ შემთხვევებში, როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნა ლტოლვილს ან თავშესაფრის მაძიებელს ეხება, UNHCR-ს მანდატით ევალება მათი

<sup>94</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 37 და ქვემოთ პარაგრაფები 88-89.

<sup>95</sup> იხილეთ UNHCR-ის „რეკომენდაციები ევროპის კომისიის წინადადებაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, საბჭოს ფარგლებში, ევროპული დაპატიმრების ორდერის და გადაცემის პროცედურებზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე“ COM(2001)522 final 2001/0215 (CNS), 2001 წლის ოქტომბერი; იხილეთ ასევე UNHCR-ის „წინასწარი კომენტარები წევრ ქვეყნებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებასთან დაკავშირებით მინიმალური სტანდარტების შესახებ მისაღებ ევროპის საბჭოს დირექტივის პროექტზე“ (საბჭოს დოკუმენტი 14203/04, *Asile 64, 2004 წლის 9 ნოემბერი*), 2005 წლის 10 თებერვალი (შემდგომში ეს დოკუმენტი მოხსენიებული იქნება როგორც „UNHCR-ის წინასწარი კომენტარები“), ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=42492b302>, კომენტარები მე-6 მუხლის შესახებ.

<sup>96</sup> იხილეთ ასევე UNHCR-ის „რჩევები კონფიდენციალურობის წესის შესახებ“, იხილეთ ასევე ქვემოთ პარაგრაფი 93.



ინტერესების დაცვა, შესაბამისად UNHCR-ს ასეთი პირების დაცვის საშუალება უნდა ჰქონდეს. გარემოებებიდან გამომდინარე ეს შეიძლება იყოს მიმღები ქვეყნის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაზე დიპლომატიური მეთოდებით ზეგავლენის მოხდენა, ამგვარი ზეგავლენის მოხდენას ექსტრადიციის კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ეს ქმედება პირდაპირ, იურისტების ან კონკრეტული პირის სახელით მოქმედი სხვა პირების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს. UNHCR-ს შეუძლია გადადგას შესაბამისი ნაბიჯები იმ შეთხვევაშიც კი, თუ მიმღები ქვეყნის ექსტრადიციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს UNHCR-ის ამ პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. UNHCR-ის მანდატი იმოქმედოს იმ პირების სახელით, რომლებსაც ექსტრადიცია ემუქრებათ, დაფუძნებულია UNHCR-ის 1950 წლის წესდებაზე და მის საზედამხედველო პასუხისმგებლობაზე, რომელიც 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლში, 1967 წლის პროტოკოლის პირველ მუხლში და UNHCR-ის წესდების მე-8ა მუხლშია გაწერილი. ამ დებულებების შესაბამისად, სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიაწოდონ UNHCR-ს კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაცია<sup>97</sup>. გარდა ამისა, ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთა ექსტრადირებასაც ითხოვს ესა თუ ის სახელმწიფო, უნდა ჰქონდეთ საშუალება დაუკავშირდნენ UNHCR-ს და/ან კვალიფიცირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ამ სფეროში მომუშავე იურისტებს.<sup>98</sup>

#### IV. ლტოლვილების დაცვასთან და ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

##### ა. საერთო მოსაზრებები

71. როგორც აქამდე იქნა აღნიშნული თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციას ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მის მიერ საერთაშორისო დაცვის მოპოვების პროცესზე<sup>99</sup>. მიმღები ქვეყნის თავშესაფრის მიცემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ მთხოვნელი ქვეყნის მიერ ძებნილის მიმართ წაყენებული ბრალდებები. ყველა სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც ეხება აპლიკანტის წარმოშობის ქვეყნიდან გაქცევის ან ამ ქვეყანაში დაბრუნების გარემოებებს, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული მაშინ, როდესაც ხდება იმის განსაზღვრა, იმსახურებს თუ არა ეს პიროვნება ლტოლვილის სახით საერთაშორისო დაცვას.
72. როდესაც ექსტრადიციის პროცედურები ლტოლვილს ეხება, ამ დროს შეიძლება წარმოიშვას გარკვეული კითხვები იმის შესახებ, თუ რამდენად იმსახურებს ეს პიროვნება ლტოლვილის სტატუსს. გარემოებებიდან გამომდინარე, ექსტრადიციის პროცესის განმავლობაში შეიძლება მოხდეს ამ პირის ლტოლვილის სტატუსის გადამოწმება და (შესაძლებელია) გაუქმებაც კი.

<sup>97</sup> იხილეთ ვ. ტურკის ზემოხსენებული ნაშრომის 135-158-ე გვერდები.

<sup>98</sup> იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფართან დაკავშირებული პროცესები“, პარაგრაფი 50(ზ).

<sup>99</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 59, 62 და 64.

73. ყველა ასეთ შემთხვევაში, ექსტრადიციის მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაციის სანდოობა ისევე, როგორც მისი მნიშვნელობა კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის დადგენის კონტექსტში, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა იქნას განსაზღვრული<sup>100</sup>. გარდა ამისა, თავშესაფრის მინიჭების პროცედურებში, ისევე როგორც იმ პროცედურებში, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსის გაუქმება შეუძლიათ გამოიწვიონ, გათვალისწინებული უნდა იქნას სრული პროცედურული გარანტიები. ქვემოთ მოცემულ თავებში საუბარია არსებულ და პროცედურულ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც ექსტრადიციის პროცესის კონტექსტში გადასაწყვეტია ის თუ რამდენად იმსახურებს ესა თუ ის პირი ლტოლვილის სტატუსს.

## **ბ. ლტოლვილის სტატუსის დადგენა მაშინ, როდესაც დღის წესრიგში კონკრეტული პირის ექსტრადიციის საკითხი დგას**

### **1. არსებული მოთხოვნები**

*„ლტოლვილი სტატუსის დადგენა“ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემული ლტოლვილის ცნების განსაზღვრების ფარგლებში*

74. მაშინ, როდესაც ხდება იმის დადგენა თუ რამდენად იმსახურებს თავშესაფრის მაძიებელი (რომლის ექსტრადიციაც მისი წარმოშობის ქვეყნის მიერ არის მოთხოვნილი) ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ რას გამოეყვა აღნიშნული პიროვნება: სამართლებრივ დევნას/სასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის თუ დევნას. თუ დადგინდა, რომ აპლიკანტი მართლმსაჯულებას გამოეყვა და არა დევნას, მაშინ იგი ვერ დააკმაყოფილებს 1951 წლის 1A(2) მუხლში მოცემულ ლტოლვილის ცნების განსაზღვრებას (სტატუსის დადგენის კრიტერიუმები) და, ამ შემთხვევაში, მისი თხოვნა ლტოლვილის სტატუსის მიღების შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული.<sup>101</sup>

75. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ იმის შესაძლებლობა, რომ წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლება სამართლებრივ დევნას კონკრეტული პირის მიმართ უკანონო დევნისთვის იყენებს ან რომ ექსტრადიციის მოთხოვნა კეთდება ძებნილის უსამართლოდ დასჯის მიზნით. შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც ძებნილს, რომლის მიმართაც კანონიერი დევნა ხორციელდება, შეიძლება

<sup>100</sup> ეს პრინციპი მაშინაც მოქმედებს, როდესაც ექსტრადიციის პროცედურები ეხება ისეთ ლტოლვილს ან თავშესაფრის მაძიებელს, რომლის ექსტრადირებაც (წევრი ქვეყნის თხოვნით) ინტერპოლის მიერ გავრცელებული ცირკულარის „იმეზნება პოლიციის მიერ“ საფუძველზე ხდება. მიმღები ქვეყნისთვის ინტერპოლის ცირკულარის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია ისე უნდა იქნას შემოწმებული თითქოს ის პირდაპირ მთხოვნელი ქვეყნის მიერ იყოს წარმოდგენილი. ინტერპოლის ცირკულარების სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შემდეგ ვებ საიტზე შეიძლება: <http://www.interpol.int>.

<sup>101</sup> იხილეთ UNHCR-ის ზემოხსენებული „სახელმძღვანელო“, პარაგრაფები 56-60.

ჰქონდეს საფუძვლიანი შიში, რომ სისხლისსამართლებლივი დევნის კონტექსტში ან სხვა მიზეზების გამო იგი დევნის მსხვერპლი გახდება (მაგალითად წამების რისკი წინასწარი დაკავების ეტაპზე).<sup>102</sup> ასეთი გარემოებების არსებობისას აპლიკანტი აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემულ სტატუსის დადგენის კრიტერიუმებს, თუმცა ამ დროს უნდა არსებობდეს კავშირი სავარაუდო დევნასა და 1951 წლის კონვენციაში მოცემულ კრიტერიუმებს შორის.<sup>103</sup>

76. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდა, რომ ძებნილი აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრებაში მოცემულ მოთხოვნებს, შესაძლებელია საჭირო გახდეს ამ პირის მიმართ გამორიცხვის დებულების ამოქმედება თუ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში აღნიშნული გარემოებების არსებობა დადგინდა.

### *1951 წლის კონვენციის 1F მუხლში მოცემული გამორიცხვის დებულებები*

77. ექსტრადიციის მოთხოვნის და/ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდების შედეგად შეიძლება დადგეს 1951 წლის 1F მუხლში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინების საჭიროება თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა ან მონაწილეობა მიიღო ამ მუხლში ნახსენებ დანაშაულებში.<sup>104</sup>

78. ლტოლვილთა შესახებ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები ასევე მოიცავენ იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ პირს არ შეუძლია ისარგებლოს ლტოლვილის სტატუსით განსაზღვრული პრივილეგიებით. 1969 წლის აფრიკის ერთობის ორგანიზაციის (OAU) კონვენციის I(5) მუხლი იმეორებს 1951 წლის 1F მუხლის სიტყვებს, განსხვავება მხოლოდ აფრიკის ერთობის ორგანიზაციის პრინციპების და მიზნების

<sup>102</sup> თუ მთხოვნელმა ქვეყანამ ძებნილის ექსტრადიციის შემთხვევაში მის მიმართ მოპყრობის შესახებ დიპლომატიური გარანტიები წარმოადგინა, მაშინ აღნიშნული გარანტიები ამ ნაშრომის 28-ე პარაგრაფში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით უნდა იქნას შეფასებული, გარდა ამისა, ეს კრიტერიუმები UNHCR-ის დოკუმენტში „შენიშვნები დიპლომატიური გარანტიების შესახებ“ არის განხილული.

<sup>103</sup> „ურთიერთკავშირის“ პრინციპის მიხედვით, პიროვნება აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციაში მოცემულ კრიტერიუმებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს საფუძვლიანი შიში, რომ ექსტრადირების შემთხვევაში იგი დევნის მსხვერპლი გახდება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული, ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია UNHCR-ის „სახელმძღვანელოში“ და UNHCR-ის „სახელმძღვანელო პრინციპებში საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომლებიც 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის გამოყენების სპეციფიკურ ასპექტებს აღწერენ. ელექტრონული ვერსია მოცემულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?page=rsd>.

<sup>104</sup> 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში ნათქვამია: „წინამდებარე კონვენციის დებულებები არ ეხება ისეთ პირს, რომლის მიმართ არსებობს სერიოზული ეჭვები იმის შესახებ, რომ:

(ა) მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ (აღნიშნული დანაშაულები აღწერილია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც ამგვარი სახის დანაშაულების კვალიფიცირებისთვის შეიქმნა);

(ბ) მან ჩაიდინა მძიმე არაპოლიტიკური დანაშაული მიმღები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მანამ, სანამ იგი ამ ქვეყანაში ლტოლვილის სახით იქნა მიღებული;

(გ) იგი დამნაშავეა ისეთ ქმედებებში, რომლებიც გაეროს მიზნებს და პრინციპებს ეწინააღმდეგება“.

მითითებაშია. გარდა ამისა, OAU-ს კონვენციის მიხედვით კონკრეტული პირი კარგავს ლტოლვილისთვის განკუთვნილი დაცვის გარანტიებს თუ ამ ლტოლვილმა „ჩაიდინა მძიმე არაპოლიტიკური დანაშაული მიმღები ქვეყნის გარეთ მანამ, სანამ ის ამ ქვეყანაში ლტოლვილის სახით იქნებოდა მიღებული“<sup>105</sup> ან თუ ეს ლტოლვილი ჩართულია OAU-ს წევრი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობაში.<sup>106</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებებს „ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის დებულებები“ ეწოდება, რეალურად ისინი ე.წ. „გამორიცხვის დებულებების პრინციპზეა დაფუძნებული. რადგან OAU-ს კონვენცია 1951 წლის კონვენციის შემავსებელია, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენციაში მოცემული დებულებები 1951 წლის კონვენციის კონტექსტში უნდა იქნას განხილული და ამ უკანასკნელის მიხედვით განხორციელებული. აქედან გამომდინარე, „ქმედებები, რომლებიც OAU-ს მიზნებს და პრინციპებს ეწინააღმდეგება“ უნდა იქნას მიკუთვნებული 1951 წლის კონვენციის 1F(c) მუხლის კატეგორიას; ამავე დროს, ლტოლვილის სტატუსის მიღების შემდეგ ჩადენილი ქმედებების შედეგად პირს შეიძლება ჩამოერთვას ეს სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ქმედებები 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის (a) ან (c) პარაგრაფებშია ნახსენები.<sup>107</sup> ლტოლვილის სტატუსით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის გამორიცხვის პირობები, ასევე, მოცემულია UNHCR-ს 1950 წლის წესდების მე-7(d) პარაგრაფში.<sup>108</sup>

79. დეტალური ინფორმაცია არსებულ და პროცედურული ასპექტებზე, რომლებიც კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის გამორიცხვას ეხება, მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ეხება“ და, ასევე, მასზე თანდართულ დოკუმენტში „შემდგომი შენიშვნები“ (2003 წლის 4 სექტემბერი).<sup>109</sup> დამატებითი ინფორმაცია „გამორიცხვის დებულებების“ შესახებ მაშინ, როდესაც საქმე ეხება ტერორისტულ დანაშაულს, მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ:

<sup>105</sup> OAU-ს კონვენციის I(4) (ფ) მუხლი

<sup>106</sup> OAU-ს კონვენციის I(4) (ზ) მუხლი, III მუხლთან ერთად.

<sup>107</sup> ინფორმაცია ლტოლვილის სტატუსის გაუქმების კრიტერიუმების თაობაზე მოცემულია ქვემოთ პარაგრაფებში 94-96.

<sup>108</sup> იმის გათვალისწინებით, რომ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი წარმოადგენს იმ პირების კატეგორიის შემდგომ და უფრო კონკრეტულ ფორმულირებას, რომელიც UNHCR-ის წესდების მე-7(დ) პარაგრაფშია მოხსენიებული, UNHCR-ის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების გამორიცხვის საკითხი 1951 წლის კონვენციის ფორმულირების გამოყენებით უნდა გადაწყვიტონ.

<sup>109</sup> იხილეთ „სახელმძღვანელო პრინციპები კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის გამორიცხვის შესახებ“ და მასზე თანდართული „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ეხება“ 2003 წლის 4 სექტემბერი, (შემდგომში ეს დოკუმენტი მოხსენიებული იქნება, როგორც „შემდგომი შენიშვნები კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის გამორიცხვის შესახებ“) ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე:

<http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3f5857d24>.

გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ეხება იმ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილი ქმედება ტერორისტული ხასიათისაა“, 2008 წლის მაისი.<sup>110</sup>

80. მართალია ექსტრადიციასა და გამორიცხვის დებულებებს შორის არსებობს გარკვეული კავშირები,<sup>111</sup> ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ ექსტრადიციასა და გამორიცხვის დებულებებს სხვადასხვა მიზნები აქვთ და ისინი განსხვავებული სამართლებრივი კრიტერიუმებით იმართებიან. ექსტრადიცია არის ინსტრუმენტი, რომლითაც სახელმწიფოები ერთმანეთს დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ეხმარებიან, ექსტრადიციის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების და ეროვნული კანონმდებლობების მეშვეობით, ისევე, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებში შესული ექსტრადიციასთან დაკავშირებული დებულებების დახმარებით. ხოლო გამორიცხვის დებულებები გულისხმობს ლტოლვილებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის გარანტიების გაუქმებას იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემულ ლტოლვილის ცნების განსაზღვრებას, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან გარკვეული მძიმე დანაშაულებისთვის. კრიმინალური საქმიანობის სახეობები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული პიროვნების მიმართ გამორიცხვის დებულებები იქნას გამოყენებული, სრულად არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში.

81. თუ ექსტრადიციისთვის საჭირო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 1F მუხლში აღნიშნული დებულებები, რომელთა ძალითაც კონკრეტულ ლტოლვილს საერთაშორისო დაცვის გარანტიები უნდა ჩამოერთვას, აუცილებლად შეიძლება იქნას გამოყენებული ამ პირის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში ის დანაშაულები, რომელთა გამოც ექსტრადიციის მოთხოვნა შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული, ასევე

<sup>110</sup> იხილეთ UNHCR-ის „სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ეხება იმ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილი ქმედება ტერორისტული ხასიათისაა“ (HCR/GIP/03/05/Add.1, 2008 წლის მაისი) (შემდგომში ეს დოკუმენტი მოხსენიებული იქნება, როგორც „გამორიცხვის სახელმძღვანელო პრინციპები და ტერორისტული აქტები“).

<sup>111</sup> ისტორიულად და ძირითადი კონცეფციების გათვალისწინებით არსებობს მჭიდრო კავშირი ექსტრადიციასა და ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედებას შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმ დანაშაულის გამო, რომელიც კონკრეტულ პირს ბრალდება, იგი 1951 წლის კონვენციის 1F(ბ) მუხლით განსაზღვრულ კატეგორიაში შეიძლება მოხდეს. გარკვეული დროის განმავლობაში, პოლიტიკური დანაშაულებისთვის ექსტრადიციის აკრძალვა ლტოლვილის სტატუსის მთავარ არსად მოიაზრებოდა. 1951 წლის კონვენცია არ ადგენს პირდაპირ კავშირს ექსტრადიციასა და ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედებას შორის. თუმცა 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის შედგენისას მისი ავტორების მიზანი იყო ხელი შეეშალათ მძიმე დანაშაულების ჩამდენებისთვის თავშესაფრის უფლების ბოროტად გამოყენებაში და საკუთარი დანაშაულებისთვის სასჯელის აცილებაში. იხილეთ UNHCR-ის გამორიცხვის სახელმძღვანელო პრინციპები, პარაგრაფი 2. იხილეთ ასევე ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 318-319.

ნახსენებია 1F მუხლში, არ არსებობს ავტომატური კავშირი ექსტრადიციასა და კონვენციით განსაზღვრულ გამორიცხვად დანაშაულებს შორის. ექსტრადიციის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების და/ან კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ ექსტრადიციის მოთხოვნა იმ დანაშაულების გამო, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში. ამავე დროს, კრიმინალური ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს 1F მუხლის ფარგლებში კონკრეტული პირისთვის საერთაშორისო დაცვის გარანტიების ჩამორთმევა, შეიძლება არ გახდეს ექსტრადიციის საფუძველი, რადგან ამგვარი დანაშაულისთვის ექსტრადიცია შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული ორ სახელმწიფოს შორის დადებულ შესაბამის ხელშეკრულებაში. ამიტომ, როდესაც ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების საკითხი განიხილება, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ ჩადენილი ქმედებების ბუნება და სერიოზულობა 1F მუხლის შესაბამისი პარაგრაფების მიხედვით.

82. ეს პრინციპი მოქმედებს ყველა შემთხვევაში, როდესაც ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების გამოყენების საკითხი წარმოიშევა, მათ შორის ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც (1F მუხლის ფარგლებში) „არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაულად“ ითვლება. ერთის მხრივ, იმისათვის, რომ ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებები ამოქმედდეს, ის დანაშაულები, რომლებიც მას ბრალდება, საკმარისად მძიმე უნდა იყოს. მეორეს მხრივ, ეს დანაშაულები „არაპოლიტიკური ხასიათის“ უნდა იყოს. არის თუ არა კონკრეტული დანაშაული პოლიტიკური ხასიათის განისაზღვრება ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში გამოყენებული მიდგომების მიხედვით. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი ფაქტორებია დანაშაულის მოტივაცია, კონტექსტი და მეთოდები, ისევე, როგორც ამ დანაშაულის პროპორციულობა მის მიზნებთან.<sup>112</sup> მართალია ექსტრადიციის პროცესებში სულ უფრო და უფრო მეტი დანაშაული ხასიათდება როგორც „არაპოლიტიკური“<sup>113</sup> და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების კონტექსტში კონკრეტული დანაშაულის პოლიტიკური ელემენტების განსაზღვრისთვის, მაგრამ 1951 წლის კონვენციის 1F(ბ) მუხლის გამოყენება მაინც დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ფაქტების ცალკე გამოკვლევაზე.<sup>114</sup> გარდა ამისა,

<sup>112</sup> უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ UNHCR-ის „შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის შესახებ“, პარაგრაფები 41-43.

<sup>113</sup> როგორც ზემოთ 41-ე პარაგრაფშია აღნიშნული, ბოლო წლებში პოლიტიკური დანაშაულებისთვის ექსტრადიციის დაუშვებლობის პრინციპი სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება, რადგან ექსტრადიციის პროცესში სულ უფრო და უფრო მეტი დანაშაული ხასიათდება როგორც „არაპოლიტიკური“. ექსტრადიციის შესახებ კანონმდებლობაში მოცემული პოლიტიკური დანაშაულებისთვის ექსტრადიციის დაუშვებლობის პრინციპის შესახებ უფრო მეტი დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 72-87.

<sup>114</sup> იხილეთ UNHCR-ის „შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ“, პარაგრაფები 85-86, სადაც საუბარია იმაზე, რომ, მაგალითად, თვითმფრინავის გატაცება გარკვეულ გარემოებებში პოლიტიკურ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედება არ უნდა მოხდეს. იგივე ეხება სხვა დანაშაულებსაც, რომლებსაც საერთაშორისო ხელშეკრულებებში „არაპოლიტიკური“ ეწოდებათ,



იმისათვის, რომ 1F(b) მუხლი იქნას ამოქმედებული ასევე აუცილებელია, რომ კონკრეტული დანაშაული ჩადენილი იყოს „მიმღები ქვეყნის გარეთ მანამ, სანამ ძებნილი ამ ქვეყანაში ლტოლვილის სახით იქნებოდა მიღებული.“<sup>115</sup>

83. ექსტრადიციის მოთხოვნის ფარგლებში კონკრეტული პირისთვის წაყენებული ბრალდების სახეობის, სიმძიმის და გარემოებების შემოწმება და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის კრიტერიუმების მიხედვით მათი შეფასება, ასევე, აუცილებელია მაშინ, როდესაც აღნიშნული ბრალდებები ტერორისტულ საქმიანობას ეხება. ბევრ შემთხვევაში, ამგვარი ქმედებები 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის რომელიმე პარაგრაფში ნახსენები დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება. თუმცა მხოლოდ ის ფაქტი, რომ რეგიონალურ ხელშეკრულებებში ან ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული განსაზღვრების მიხედვით კონკრეტული ქმედება „ტერორისტულად“ ითვლება, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ 1951 წლის კონვენციის „გამორიცხვის დებულების“ ძალით, ლტოლვილისთვის განკუთვნილი საერთაშორისო დაცვის გარანტიების გაუქმება მოხდეს; თუმცა, ასეთ შემთხვევებში, 1951 წლის კონვენციის ამ დებულების გამოყენების საკითხის დასმა, რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება.<sup>116</sup>

84. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ იმისათვის რომ ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედება გამართლებული იყოს, უნდა დადგინდეს, რომ ამ პიროვნებას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც 1951 წლის კონვენციის 1F მუხლშია აღნიშნული. ამ დებულების მიხედვით, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა ნათელი და სანდო მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნება ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედებისთვის („განხილვისთვის საჭირო სერიოზული მიზეზები“). ექსტრადიციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ინფორმაცია თავისთავად არ არის ყოველთვის საკმარისი იმისათვის, რომ ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებები» ამოქმედდეს.<sup>117</sup>

---

თუმცა გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში ისინი პოლიტიკურად შეიძლება ჩაითვალოს.

<sup>115</sup> 1F(b) მუხლის ინტერპრეტირების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ UNHCR-ის «შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ», პარაგრაფები 37-45. იხილეთ ასევე ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 315-338.

<sup>116</sup> დამატებითი ინფორმაცია ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების თაობაზე იმ დანაშაულების შემთხვევაში, რომლებიც ტერორიზმად ითვლება, მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ და სახელმძღვანელო პრინციპები ტერორისტული აქტების შესახებ“.

<sup>117</sup> საერთოდ, ექსტრადიციის მოთხოვნაში უნდა იქნას მითითებული ძებნილი, რომლის ექსტრადირებასაც ითხოვს ესა თუ ის ქვეყანა, და ის გარემოებები, რომელთა გამო ამ პირის ექსტრადირებაა მოთხოვნილი. ჩვეულებრივ, მოთხოვნელმა ქვეყანამ უნდა წარმოადგინოს დაპატიმრების ორდერის ან სასამართლოს განაჩენის ასლი, შესაბამისი სამართლებრივი დებულებების ტექსტი და ის ინფორმაცია, რომელიც ძებნილის იდენტიფიცირებისთვის და მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებების იდენტიფიცირებისთვის არის საჭირო. ჩვეულებრივ, მიმღებ ქვეყანას შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოძიება თუ ის ამას საჭიროდ ჩათვლის. ზოგიერთმა ქვეყანამ

85. თუ კონკრეტულ პირს ჩამოერთვა ლტოლვილის სტატუსი, მაშინ ის ვედარ ისარგებლებს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული არგამევეების პრინციპით, თუმცა, ამ შემთხვევაში, ექსტრადიცია შეიძლება არ შედგეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული არგამევეების პრინციპის გამო ან ექსტრადიციის შესახებ დადებული ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით. თუ მიმღები ქვეყნის იურისდიქცია ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომლებმაც ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედება გამოიწვია, მაშინ ამ ქვეყანას საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის მიმართ.<sup>118</sup> საერთაშორისო სამართალი შემდეგ პრინციპს ითვალისწინებს: „ექსტრადირება ან სამართლებლივი დევნა“ (aut dedere aut judicare) (თუმცა ეს პრინციპი გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში არ მოქმედებს).<sup>119</sup>

## 2. პროცედურული საკითხები

86. თავშესაფრის ძიების და თავშესაფრით სარგებლობის უფლება, რომელიც ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლშია აღბეჭდილი და რომელიც 1951 წლის კონვენციის/1967 პროტოკოლის სწორად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, გულისხმობს სახელმწიფოთა ვალდებულებას იქონიონ სამართლიანი და ეფექტური პროცედურები ლტოლვილის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული განაცხადების განსახილველად (ეს არ ეხება ქვეყნებში ლტოლვილთა მასიური შემოდინების შემთხვევებს).<sup>120</sup> თავშესაფრის მოთხოვნების განხილვა კონკრეტულ ქვეყანაში

---

(განსაკუთრებით საერთო სამართლის მქონე ქვეყნებმა) მტკიცებულების წარმოდგენა კონკრეტულ ფორმატში შეიძლება მოითხოვოს (მაგალითად ფიცის ქვეშ შედგენილი წერილობითი ჩვენებები), ასევე შეიძლება ითხოვოს კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება (მაგალითად მებნილის წინააღმდეგ prima facie საქმის წარმოებისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილება). დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 46-55.

<sup>118</sup> როგორც ამ ნაშრომის მე-2 პარაგრაფშია აღნიშნული, ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის ქონა არ წარმოადგენს იმუნიტეტს სისხლისსამართლებლივი დევნისგან. 1951 წლის კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები მიმღები ქვეყნის კანონებს უნდა დაემორჩილონ, ხოლო ის პირები, რომლებიც ამ კანონებს დაარღვევენ, მიმღები ქვეყნის მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიეცნენ.

<sup>119</sup> იხილეთ ს. კაპფერერის „ექსტრადიცია და თავშესაფარი“, პარაგრაფები 21-32.

<sup>120</sup> იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფები 4-5; იხილეთ ასევე აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი დასკვნები: 1977 წლის №8 (XXVIII) დასკვნა – ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე; 1979 წლის №15 (XXX) დასკვნა – ლტოლვილებზე, რომლებსაც არცერთი ქვეყანა არ იცავს; 1983 წლის №30 (XXXIV) დასკვნა – ლტოლვილის სტატუსის ან თავშესაფრის აშკარად უსაფუძვლო მოთხოვნებზე; 1989 წლის №58 (XL) დასკვნა – ლტოლვილებზე და თავშესაფრის მაძიებლებზე, რომლებიც ქვეყანაში შემოდიან ისეთი სახელმწიფოდან, სადაც მათ უკვე ჰქონდათ დაცვის გარანტიები. სამართლიანი და ეფექტური პროცედურების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ასევე ხაზგასმულია აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ საერთო დასკვნებში: №29 (XXXIV) – 1983 წელი; №55 (XL) – 1989 წელი; №65 (XLII) – 1991 წელი; №68 (XLIII) – 1992 წელი; №71 (XLIV) – 1993 წელი; №74 (XLV) – 1994 წელი; №81 (XLVIII) – 1997 წელი; №85 (XLIX) – 1998 წელი; №92 (LIII) – 2002 წელი; ისევე, როგორც 1997 წლის №82 (XLVIII) დასკვნაში – თავშესაფრის გარანტიების შესახებ. იხილეთ ასევე დაცვის დღის წესრიგის სამოქმედო პროგრამის 1-ლი ამოცანის მე-2 მიზნის მე-2 მუხლი, რომელიც 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის

არსებული ადმინისტრაციული წესების და/ან სამართლებრივი სისტემის მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების პორცესში აუცილებელია ძირითადი ელემენტების ქონა, ეს ელემენტები საერთაშორისო დაცვის სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>121</sup>

87. იგივე მოთხოვნები ძალაშია მაშინაც, როდესაც თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიცია არის მოთხოვნილი. ასეთ შემთხვევებში, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, ყველაზე მთავარი საკითხია იმის უზრუნველყოფა, რომ კონკრეტული პირის ექსტრადიციის მოთხოვნამ მას ხელი არ შეუშალოს თავშესაფრის მიღების პროცედურებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ექტრადირების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელი ისევ იმ ქვეყანაში მოხდება სადაც მას, მისი აზრით, დევნის საშიშროება ელის.

88. უფრო კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავშესაფრის მოთხოვნა მიუღებლად არ უნდა გამოცხადდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ მოთხოვნის წამოყენება მას შემდეგ მოხდა რაც კონკრეტული პირის ექსტრადიციის საკითხი დაისვა ან მას შემდეგ, რაც თავშესაფრის მაძიებელმა მისი ექსტრადიციის მოთხოვნის შესახებ გაიგო. თავშესაფრის მიცემის პროცედურების დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს თუ დადგინდა, რომ კონკრეტულმა პიროვნებამ უკვე მიიღო სხვა ქვეყანაში 1951 წლის კონვენციის სტანდარტებით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები ან თუ გაირკვა, რომ ამ პიროვნებას შეუძლია მიიღოს სხვა ქვეყნის მხრიდან დაცვის გარანტიები.<sup>122</sup> ყველა სხვა შემთხვევაში, მიმღებ ქვეყანაში აპლიკანტის თავშესაფრის მოთხოვნის შინაარსობრივი კვლევა უნდა მოხდეს. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული მიმღები ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ.<sup>123</sup>

---

პროტოკოლის ხელმძღვანელი ქვეყნების მინისტრიალზე იქნა მიღებული ჟენევაში 2001 წლის 12 და 13 დეკემბერს, აღნიშნული სამოქმედო პროგრამა აღმასრულებელი კომიტეტის 2002 წლის №92 (LIII) დასკვნით არის მხარდაჭერილი, პარაგრაფი (ა). საერთაშორისო დაცვის შესახებ დასკვნები ასევე განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე:

<http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?page=type&skip=0&type=EXCONC> .

<sup>121</sup> ამ ძირითადი ელემენტების აღსრულების მხრივ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფი 50.

<sup>122</sup> კონკრეტული პირის იმ ქვეყანაში გაგზავნა, სადაც ის აქამდე უკვე იქნა ლტოლვილად აღიარებული, („თავშესაფრის მიმცემი პირველი ქვეყანა“) დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ წინასწარ დადგინდა, რომ ამ ქვეყანაში მას მიიღებენ და იგი იქ შესაბამისი დაცვის გარანტიებით ისარგებლებს. ტრანზიტულ ქვეყანაში დაბრუნება („უსაფრთხო მესამე ქვეყანა“), სადაც აპლიკანტს თავშესაფრის მოთხოვნა შეეძლება, მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ თხოვნის არსებით განხილვას ამ მესამე ქვეყნის შესაბამისი ორგანოები მოახდენენ, თუ თავშესაფრის მაძიებელი ამ ქვეყანაში არგამეცხვის პრინციპით იქნება დაცული და თუ მას შესაძლებლობა ექნება ითხოვოს და, მიღების შემთხვევაში, ისარგებლოს ამ ქვეყანაში თავშესაფრით ისე, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს. იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფები 7-18 და 50(ბ) – (გ). იხილეთ ასევე UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის 1979 წლის №15 დასკვნა (XXX) ლტოლვილებზე, რომლებსაც არცერთი ქვეყანა არ იცავს, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c960>.

<sup>123</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 63.

89. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თავშესაფრის მიღებაზე შემოსული იმ განაცხადის განხილვა, რომელიც ექსტრადიციის მოთხოვნის გაკეთების დროს იქნა შემოტანილი, ჩვეულებრივ, მიმღებ ქვეყანაში უნდა მოხდეს.<sup>124</sup>

90. მხოლოდ ის ფაქტი, რომ რომელიმე ქვეყანა კონკრეტული პირის ექსტრადიციას ითხოვს, არ შეიძლება გახდეს ამ პირის თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის უარყოფის მიზეზი; გარდა ამისა, თავშესაფრის განაცხადი არ უნდა იქნას ჩათვლილი დაუსაბუთებლად ან უსაფუძვლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს ამ პირის ექსტრადიციის მოთხოვნა. იგივე პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც კონკრეტულ პირს თავშესაფრის განაცხადი მას შემდეგ შემოაქვს რაც იგი მისი ექსტრადიციის მოთხოვნის შესახებ იგებს, რადგან ამ შემთხვევაში მას ექსტრადიციის მოთხოვნ ქვეყანაში დევნის შიში შეიძლება გაუჩნდეს და შესაბამისად მას შეიძლება მოუხდეს მიმღებ ქვეყანაში თავშესაფრის მიღება. ამ შემთხვევაში შემოტანილი თავშესაფრის განაცხადი ჩვეული პროცედურების მიხედვით უნდა იქნას განხილული, თუ არ არსებობს ამ განაცხადის უსაფუძვლობის აშკარა ნიშნები.<sup>125</sup> თუმცა შესაძლებელია განაცხადის განხილვის პროცესის პრიორიტეტებად დაყოფა გახდეს საჭირო.

91. ისეთი განაცხადები, რომლებსაც 1951 წლის კონვენციის 1F მუხლით გათვალისწინებული დებულების ამოქმედება შეუძლია (ანუ ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედება), ჩვეული პროცედურების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, რომლის დროსაც კვალიფიციური პერსონალი ახდენს კონკრეტული საქმის ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შეფასებას.<sup>126</sup> თუმცა, ეფექტურობის და ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ დებულებების სწორად გათვალისწინების მიზნით, თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადები, რომლებიც გარკვეულ კითხვებს ბადებენ, შეიძლება პირველ რიგში განხილული იქნას ლტოლვილის სტატუსის დამდგენი ორგანოების იმ განყოფილებების მიერ, რომლებიც კონკრეტული ლტოლვილების მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების საკითხებზე მუშაობენ.<sup>127</sup>

<sup>124</sup> იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 64-68.

<sup>125</sup> ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში თავშესაფრის მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლოდ ჩაითვლება მოცემულია UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის 1983 წლის დასკვნა №30-ში (XXXIV), რომლის ელექტრონული ვერსია მოცემულია შემდეგ ვებ საიტზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=3ae68c6118>. იხილეთ ასევე UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფები 24-33 და 50(დ).

<sup>126</sup> იხილეთ UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ, პარაგრაფი 31; იხილეთ ასევე UNHCR-ის „შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ“, პარაგრაფი 99.

<sup>127</sup> იხილეთ UNHCR-ის «შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ», პარაგრაფი 101. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი განაცხადები, რომელთა საფუძველზე შეიძლება დაისვას კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის გარანტიების მოხსნის საკითხი (1951 წლის კონვენციის 1F მუხლის ფარგლებში), არ უნდა იქნან მიჩნეული „აშკარად უსაფუძვლო“ განაცხადებად, რადგან ბევრი სხვადასხვა საკითხი შეიძლება იქნას წამოჭრილი, რომლებიც დაჩქარებული პორცედურების

92. აუცილებელია, რომ თავშესაფრის პროცედურაში გათვალისწინებული იყოს სრული პროცედურული გარანტიები, კონკრეტულად კი, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების საშუალება და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (მათ შორის, გასაჩივრების ეტაპზე) არგამეცხვის პრინციპით დაცვის გარანტირება.<sup>128</sup> ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადირებას ითხოვენ, რადგან ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს პიროვნება შეიძლება იქნას ექსტრადირებული იმ ქვეყანაში, სადაც მისი აზრით მას დევნის საშიშროება ელის.

93. თავშესაფრის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცედურის განმავლობაში თავშესაფრის მიღების განაცხადთან დაკავშირებული ყველა ასპექტის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იქნას.<sup>129</sup> საერთო წესის მიხედვით თავშესაფრის განაცხადთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია (და თავად ამ განაცხადის არსებობის შესახებ ინფორმაცია) არ უნდა იქნას გაზიარებული წარმოშობის ან ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც არსებობს იმის ეჭვი, რომ თავშესაფრის მაძიებელი მის წარმოშობის ქვეყანაში ან სხვა სახელმწიფოში ჩადენილ დანაშაულშია გარეული. თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში საჭირო გახდა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირება იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც მხოლოდ ამ ქვეყნის ხელისუფლებისგან შეიძლება იქნას მიღებული (ექსტრადიციის მოთხოვნაზე ან თავშესაფრის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია), მაშინ მიმღებმა ქვეყანამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აცნობოს ამ ქვეყნის ხელისუფლებას კონკრეტული პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტის შესახებ.<sup>130</sup>

## გ. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება და ჩამორთმევა

94. იმ პირის ექსტრადიციის მოთხოვნასთან დაკავშირებულმა ინფორმაციამ, რომელიც მიმღები ქვეყნის მიერ ლტოლვილად იქნა აღიარებული, შეიძლება წარმოშვას გარკვეული კითხვები ამ პირის მიერ ლტოლვილის სტატუსით სარგებლობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამის შედეგად შეიძლება ამოქმედდეს პროცედურები, რომლებსაც, გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ძებნილის ლტოლვილის სტატუსის გაუქმება ან ჩამორთმევა შეიძლება მოჰყვეს.

---

პირობებში ჯეროვნად ვერ იქნება განხილული. იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფი 29.

<sup>128</sup> იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფები 41-43 და 50 (ე). იხილეთ ასევე UNHCR-ის «შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ», პარაგრაფი 98.

<sup>129</sup> იხილეთ UNHCR-ის „თავშესაფრის მიღების პროცესები“, პარაგრაფი 50(ნ). იხილეთ ასევე UNHCR-ის „რჩევები კონფიდენციალურობის წესების შესახებ“.

<sup>130</sup> იხილეთ ასევე პარაგრაფები 57-58 და 69.



- „სტატუსის გაუქმება“ ნიშნავს კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან მაშინ, როდესაც ამ პირს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა იგი საერთოდ არ აკმაყოფილებდა ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო მოთხოვნებს და შესაბამისად მისთვის საერთოდ არ უნდა მიენიჭებინათ აღნიშნული სტატუსი.<sup>131</sup> სტატუსის გაუქმების გადაწყვეტილება ძალაში შედის თავდაპირველი არასწორი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან (ანუ კონკრეტული პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მომენტიდან - ab initio ანუ ex tunc – „დასაწყისიდან“, „თავიდანვე“).<sup>132</sup>
- „სტატუსის ჩამორთმევა“ ნიშნავს ლტოლვილის სტატუსის გაუქმებას მას შემდეგ რაც პიროვნებამ, რომელმაც თავდაპირველად კანონიერ საფუძველზე მიიღო ლტოლვილის სტატუსი, ჩაიდინა 1951 წლის კონვენციის 1F(ა) ან 1F(გ) მუხლებით განსაზღვრული დანაშაული, რისთვისაც მას პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება.<sup>133</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებას ზეგავლენა აქვს მომავალ პერიოდზე (ex nunc – „ამიერიდან“).<sup>134</sup>

95. ლტოლვილის ექსტრადიციის ნებისმიერი მოთხოვნა ავტომატურად არ იწვევს მისი სტატუსის გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხის დასმას. საჭიროა თუ არა ძებნილის ლტოლვილის სტატუსის გადახედვა დამოკიდებულია მიღებული ინფორმაციის სახეობაზე. მიმღები ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს ექსტრადიციის მოთხოვნის დროს წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობა და მისი მნიშვნელობა კონკრეტული ძებნილისთვის საერთაშორისო დაცვის გარანტიების მიზანშეწონილობის განსაზღვრად. ეროვნულ კანონმდებლობაში შეიძლება არსებობდეს გარკვეული დროის შეზღუდვები ლტოლვილის სტატუსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით, ლტოლვილის

<sup>131</sup> ეს შეიძლება ასე მოხდეს თუ აღმოჩნდა, რომ ამ კონკრეტული პირის შემთხვევაში არ არსებობდა საფუძვლიანი შიში, რომ იგი მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის კუთვნილების თუ პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის მსხვერპლი გახდებოდა ან თუ გაირკვა, რომ ამ პირს 1951 წლის კონვენციაში აღნიშნული ლტოლვილის სტატუსით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის გარანტიები არ ეკუთვნოდა (გამორიცხვის დებულებები).

<sup>132</sup> ლტოლვილის სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებული სტანდარტები და კრიტერიუმები უფრო დეტალურად არის განხილული UNHCR-ის დოკუმენტში „შენიშვნები ლტოლვილის სტატუსის გაუქმების შესახებ“, რომელიც 2004 წლის 22 ნოემბერს იქნა მიღებული, მისი ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე:

<http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=41a5dfd94>.

<sup>133</sup> 1F(ბ) მუხლისგან განსხვავებით, 1951 წლის კონვენციის 1F(ა) და 1F(ბ) მუხლებში მოცემული დებულებები არ ექვემდებარება რაიმე სახის დროით ან გეოგრაფიულ შეზღუდვებს.

<sup>134</sup> 1951 წლის კონვენციის 1F(ა) და 1F(ც) მუხლების ამოქმედების სუბსტანტიური და პროცედურული კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი UNHCR-ის დოკუმენტში „სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ» და UNHCR-ის დოკუმენტში «შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ». იხილეთ ასევე UNHCR-ის „სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის მიმართ «გამორიცხვის დებულებების» ამოქმედების შესახებ და სახელმძღვანელო პრინციპები ტერორისტული აქტების შესახებ“.



სტატუსის გაუქმების პროცედურის წამოწყება მიზანშეწონილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სანდო მიზეზები იმისათვის, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილების სისწორე ეჭვის ქვეშ დადგეს. შესაბამისად, თუ არსებობს სანდო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლტოლვილი შეიძლება ყოფილიყო ჩართული იმ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში, რომელიც 1951 წლის კონვენციის 1F(a) და 1F(c) მუხლებშია მოცემული, მაშინ სტატუსის შეჩერების პროცედურის დაწყება სრულიად ლოგიკური იქნება.

96. ნებისმიერ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსის დაკარგვით ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დაირღვევა თუ სტატუსის გაუქმების ან შეჩერების<sup>135</sup> მოთხოვნები შევა იმ პროცედურებში, რომელთა ფარგლებშიც კონკრეტულ პირს სრული პროცედურული გარანტიები მიეცემა, მათ შორის, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის უფლება და მისი სტატუსის გაუქმების ან შეჩერების გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გადახედვის მოთხოვნის უფლება, კონკრეტული გარემოებების და/ან კანონის შესაბამისად.<sup>136</sup>

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული არგამეგების პრინციპი კვლავ შეაფერხებს ექსტრადიციის პროცესს მანამ, სანამ კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის გაუქმების ან შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ქვეყნის კანონმდებლობა ექსტრადიციისთვის კონკრეტულ, დროში გაწერილ შეზღუდვებს ითვალისწინებს, მაშინ ამ ქვეყნის ხელისუფლებას შეუძლია უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე, თუკი ლტოლვილის სტატუსის გაუქმების ან შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ვერ ესწრება.<sup>137</sup> ლტოლვილის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული უნდა იქნას კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის გადახედვის პროცესში.<sup>138</sup>

<sup>135</sup> წინამდებარე დოკუმენტის IV.ბ.1 თავში აღნიშნული სუბსტანტიური მოსაზრებები სრულად მოქმედებს მაშინაც, როდესაც ხდება ძებნილის ლტოლვილის სტატუსის შემოწმება ამ სტატუსის ჩამორთმევის ან გაუქმების კონტექსტში.

<sup>136</sup> ლტოლვილის სტატუსის გაუქმების პროცესში პროცედურების სამართლიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „შენიშვნები ლტოლვილის სტატუსის გაუქმების შესახებ“, პარაგრაფები 42-43. ინფორმაცია იმ პროცედურული გარანტიების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის შესაძლო ამოქმედებისას, მოცემულია UNHCR-ის დოკუმენტში „შემდგომი შენიშვნები ლტოლვილის მიმართ გამორიცხვის დებულებების ამოქმედების შესახებ“, პარაგრაფი 98.

<sup>137</sup> იხილეთ, მაგალითად, შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის 1A.267/2005/gij გადაწყვეტილება, 2006 წლის 14 დეკემბერი.

<sup>138</sup> ეს, მაგალითად, აღნიშნულია ევროკავშირის „2005 წლის 1 დეკემბრის საბჭოს 2005/85/EC დირექტივაში წევრ ქვეყნებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების და გაუქმების შესახებ“, ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ ვებ მისამართზე: <http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/refworld/rwmain?docid=4394203c4>, ამ დირექტივაში აღნიშნულია, რომ: „... წევრმა ქვეყნებმა პროცედურის ფარგლებში [რომელიც კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის გადახედვას ეხება] უნდა უზრუნველყონ რომ: ...კონკრეტული პირის ლტოლვილის სტატუსის გადახედვის პროცესში კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის შეგროვებისას არ მოხდეს ამ ინფორმაციის დევენის

## V. დასკვნა

97. როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში აღინიშნა, ექსტრადიციის და თავშესაფრის საკითხები ბევრი კუთხით იკვეთება როდესაც ის პირი, რომლის ექსტრადიციასაც ითხოვენ, ლტოლვილი ან თავშესაფრის მაძიებელია. UNHCR ითვალისწინებს სახელმწიფოების კანონიერ ინტერესს მოახდინონ ძებნილი კრიმინალების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა. ამ მხრივ ექსტრადიცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მაგრამ ზოგჯერ ექსტრადიციის მოთხოვნა კონკრეტული პირის დევნის მიზნით კეთდება, ეს კი შემამფოთებელია, რადგან ექსტრადიცია შეიძლება ნიშნავდეს ლტოლვილის პირდაპირ ან ირიბად იმ ქვეყანაში დაბრუნებას, სადაც იგი დევნის ან სხვა სახის გამოუსწორებელი ზიანის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.
98. საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით, ლტოლვილების ან თავშესაფრის მაძიებლების ექსტრადიციის საქმეებში მთავარია იმის უზრუნველყოფა, რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც სჭირდებათ და რომლებიც იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას, მიიღონ ასეთი დაცვა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია მძიმე დანაშაულებში მხილებული კონკრეტული პირების მიერ თავშესაფრის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება.
99. ეს, ერთის მხრივ, მოითხოვს იმის განსაზღვრას თუ რამდენად იმსახურებს კონკრეტული ძებნილი ლტოლვილის სტატუსით განსაზღვრული დაცვის მიღებას, ამ დროს ყველა შესაბამისი ფაქტი ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი და, ამავე დროს, პროცედურების განმავლობაში სამართლიანობის პრინციპი ბოლომდე უნდა იქნას დაცული. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დანაშაულში მხილებულ პირებს შეიძლება არ ეკუთვნოდეთ ლტოლვილის სტატუსი იმიტომ, რომ ისინი ან ვერ აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემულ ლტოლვილის განსაზღვრებას ან იმიტომ, რომ ისინი გარკვეული სახის მძიმე დანაშაულებში არიან ეჭვმიტანილნი, რის საფუძველზეც მათ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის მიხედვით ლტოლვილის სტატუსის მიღება არ შეუძლიათ.
100. მეორეს მხრივ, მაშინ, როდესაც ექსტრადიციის მოთხოვნა ლტოლვილს ან თავშესაფრის მაძიებელს ეხება, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათ მიერ ასეთი კატეგორიის პირებისთვის გარანტირებული დაცვა (ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში). ეს ვალდებულებები ექსტრადიციის შესახებ არსებული სამართლებრივი სისტემის ნაწილია და უნდა იქნას გათვალისწინებული მაშინ, როდესაც კონკრეტული ძებნილის მთხოვნელ ქვეყანაში ექსტრადიციის კანონიერების საკითხი განიხილება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ლტოლვილის

---

განმახორციელებელი მხარისგან მოპოვება ისეთნაირად, რომ ამის შედეგად ამ მხარისთვის ცნობილი გახდეს ის, რომ კონკრეტული ლტოლვილის სტატუსი ეჭვ ქვეშ დადგა; გარდა ამისა, ამის შედეგად საფრთხის ქვეშ არ უნდა დადგეს ამ პირის და მასზე დამოკიდებული პირების ფიზიკური უსაფრთხოება ან წარმოშობის ქვეყანაში მცხოვრები მისი ოჯახის წევრების თავისუფლება და უსაფრთხოება“.

ან თავშესაფრის მაძიებლის ექსტრადიციის საკითხის განხილვისას სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ არგამევეების პრინციპს.

101. ექსტრადიციის და თავშესაფრის მიცემის პროცესები ისე უნდა იქნას კოორდინირებული, რომ სახელმწიფოებს საშუალება მიეცეთ გამოიყენონ ექსტრადიცია როგორც დაუსჯელობასთან და ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტური ინსტრუმენტი; ამავდროულად, მათ ამ პროცესში სრულად უნდა შეასრულონ საერთაშორისო დაცვის ვალდებულებები.